

სლექსნიდი ლიმის

ოცნებათა  
ნაკადები

ლიმის

# სოციალური ლიტერატურის კურსი

## ობების განვითარები

ვექენი

თბილისი,  
2018 წ.

ნიგნში შესყიდვა აფეონის აზრე დაწყდილი და კურ  
გამოუმეტესობებით ლექსერი. გამოიჩინებან მრავალფე-  
როვანი თემატიკითა და ფორმით, კრემულში შესყიდვა  
ნახარმოვები, რომელიც დანერილია 1961-2018 წლე-  
ბში და ნარმონადებს აფეონის რჩეულობის ახალ  
კრემულს.

დამკაბაღონებელი  
ზაჟა გელაშვილი

© გამომცემლობა -  
თბილისი, ცოტნე დაღიანის ქ. №77  
ტელ.: (+995 32) 218 03 32  
[www.tsignieri.ge](http://www.tsignieri.ge)  
[contact@tsignieri.ge](mailto:contact@tsignieri.ge)  
[tsignieri@yahoo.com](mailto:tsignieri@yahoo.com)

ანუ, დაკაბაღონდა და დაბეჭდა  
საგამომცემლო   
პრ „ემ-პი-ჯი ჯაუფი“ GR   
ტელ.: (+995 32) 218 03 32  
[ltdmpg@gmail.com](mailto:ltdmpg@gmail.com)  
[www.mpggroup.ge](http://www.mpggroup.ge)

უბკ 821.353.1-1  
ISBN 978-9941-9598-8-2

აქ დაბეჭდილ ლექსებს არავითარი პრეტენზია არა აქვს, გარდა იმისა, რომ მკითხველი ჩემი განცდების თანაზიარად გახადოს, ცხადია, ჩვეულებრივ, ისინი ყველა ერთი დონის ვერ იქნება, შესამჩნევია, რომ სხვადასხვა დროსა და ეტაპზე ესთეტიკურ-ემოციური თვალსაზრისით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმისათვის, რომ მკითხველს მიეცეს საშუალება ამ მოვლენას თვალი მიადგენოს, გადავწყვიტე, ყველა მათგანს მისი შექმნის წელი მივაწერო. მთელი პერიოდი გაყოფილია ორადა: ლექსები – შექმნილი 1961-2015 წლებსა და 2012-2018 წლებში.

ლექსები თემატურადაა დაჯგუფებული, რაც საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგანაც მათი უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე მოტივისაგან შედგება, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე დაბრკოლებას მათი აღქმის და გაცნობიერებისათვის.

კრებული სტრუქტურულად ორიგინალურადაა აგებული – ძველი და ახალი ლექსები არაა ერთმანეთში შერეული თემატურად, არამედ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი. პირველ ნაწილში თავმოყრილია ადრეულ კრებულში დაბეჭდილი ნაწარმოებები, რომლებიც გამოქვეყნდა 2015 წლამდე („ფიქრი და ოცნება“), მეორე – 2012 წლიდან 2018 წლამდე. არ მგონია, ამგვარმა სისტემაშ რაიმე უხერხულობა შეუქმნას მკითხველ საზოგადოებას. მაინც, მაპატიონ მათ, თუ რაიმეგვარად ვერ გავამართლე მათი მოლოდინი.

ჩვენი საკუთრი

ნებრი დიდი საუკლოვ!

ჩვენო დიდო საუფლოვ –  
საქართველო პატარა!  
თითქოს ბედად გენერა  
აღდენ ჭირის ატანა.  
ირგვლივ გერტყა ათასი  
შენი მიწის მდომელი...  
მაინც დარჩი ძირძეველი,  
მტკიცედ ფეხზე მდგომელი.  
დაყოფა და ტაცება  
იყო მათი ოცნება,  
მაგრამ ისევ ნათლი გვემს,  
როგორც ღვთის საოცრება..  
დღესაც კი აქვთ ნადილი  
ნგრევის ჩვენი ნებისა,  
ჩვენი დაშლა-დაქცევის,  
ჩვენი დამონებისა.  
მაგრამ თვით საქართველო  
არის განუყოფელი,  
ყველა კუთხე-კუნტელი,  
ქალაქი თუ სოფელი...  
ჩავლილია ნარსული,  
ჭრილობები ურჩება,  
და ამ ავბეთიდობას  
კვლავაც გადაურჩება!

2010

თუ არ გიყვარს სამშობლო,  
 თუ არა თრთი მისთვის,  
 ძუძუ რად გინოვია?  
 რისთვის,  
 რისთვის,  
 რისთვის?  
 თუ არ გღუნავს სიმძიმე  
 შენი ქვეყნის ტვირთის,  
 რატომ დახვალ ამ ქვეყნად?  
 რისთვის,  
 რისთვის,  
 რისთვის?  
 სული შენი წარსულის  
 ცოდნას თუ არ იღტვის,  
 როგორ გაძელ ამდენ ხანს?  
 რისთვის,  
 რისთვის,  
 რისთვის?  
 თუ არ იწვი მიწისთვის,  
 ამ მზისა და ცისთვის,  
 გაჩენილხარ ამ ქვეყნად  
 რისთვის,  
 რისთვის,  
 რისთვის?

1980

იქნებ ფიქრობ, სხვისი ჯობსო,  
ერთი მითხარ, რითი?  
მოიგონე შენი ქვეყნის  
ლეგენდა თუ მითი.  
გაიხსენე, რა ყოფილხარ –  
სიტყვა, წიგნი, აზრი,  
ტაძრები და ციხეები,  
ბრძოლა, ხმალი ბასრი...  
შენი მთა და შენი ბარი,  
ზვრები, ტყე თუ მდინარე,  
რაც კი არის საამაყო  
ახალი თუ წინარე...  
ვიდრე სხვისას დააფასებ,  
გაიცანი შენი,  
რაც გაქვს ქვეყნად სანაქებო,  
შენი დამამშვენი.  
და თუ მართლაც გძრავს სურვლი  
მთელ მსოფლიოს მოვლისა,  
საქართველო მოიარე,  
უპირველეს ყოვლისა!

2011

## არც ევროპელი ვარ, არც აზიელი

არც ევროპელი ვარ, არც აზიელი,  
კავკასიის მთების ვარ შვილი.

„და განცხრომით სხვაგან ყოფნას,  
მირჩევნია აქ სიკუდილი!“

ვინც რა უნდა თქვას, ვინც რა იძიოს,  
უნდა გახსოვდეს სულ ის –  
რომ განსხვავებულ მოდგმას ეჯუთები,  
დიდი გრძნობის და სულის!

2011



ევროპის არიალში  
 შესვლას ვაპირებთ ყველა,  
 ყველანი იქით მივიღტვით,  
 აჩქარებით თუ ნელა.  
 ევროპა ერთი სახლია,  
 თუმცა სხვადასხვა ენით,  
 სხვადასხვა შეხედულებით,  
 მაგრამ ეთიან რწმენით.  
 სხვის მეტყველებას რომ მისდევ,  
 არ დაივიწყო შენი...  
 შენი ლამაზი ქართული,  
 ცხოვრების დამამშვენი.  
 მთელი ევროპის კულტურა  
 ყველას თავის გულს უშლის,  
 საკუთარ ენით არავის  
 იქ შესვლას არვის უშლის.  
 ვინ გაიგონა, ჩვილები  
 ბავშვნი ანამოთ სხვისით?  
 დრო მოვა, უკეთ შეიძლება  
 უცხო ისნავლის მისით.  
 ერთს გეტყვით, მეტად გულწრფელად,  
 და არ გამიგოთ ნყენით:  
 ევროპაში რომ შევდივართ,  
 შევიდეთ ჩვენი ენით.

2011

ჩემო გორაკებო, მდინარევ და მდელოვ,  
 როგორ აეიტანო, როგორ მოვინელო!..  
 სურნელება შენი მიწის ყოველ აღლის,  
 შენი ჰაერი და შენი ზეცის მადლი  
 შელახულა მტრისგან ცეცხლითა და ალით,  
 გათელილა რუსის მძიმე ჩექმის ნალით.  
 ცდილობს აეფაროს თითქოს კეთილ სიოს,  
 მაგრამ სურს, რომ მოგსპოს, სულ მთლად დაგაქციოს.  
 ადრე მოდიოდა უფროსი ძმის ნილბით.  
 ვითომ ნუხდა შენი ბედითა და ილბლით.  
 დღეს გამოჩნდა, გულში რა ზრახვები ედო,  
 უნდა დაგინგრიოს თავანი და ერდო.  
 მაგრამ არ შედრეკება უდრეველი ერი.  
 ჩეენ გვინახავს ბევრი კარს მომდგარი მტერი.  
 გაგვიძლია უფრო ავბედითი ნლების,  
 დრო მოსულა მერე ისევ განახლების.  
 ნუ შედრეკები, ერთად იდექ, ჩემო ხალხო!  
 კვლავ აღორძინდება ძველი სამოსახლო!  
 ვერ მიიღო მტერმა ბოლომდე, რაც სურდა,  
 თუმც ბევრი რამ მოსპო, ბევრი განადგურდა.  
 ისევ ფეხზე ვდგავართ და ვიდგებით მარად,  
 მტრების გულსახეთქად, მოყვრის გასახარად!

2008 ნ. სექტემბერი

აფხაზეთო, რა გზა-კვალი ირჩივ –  
 გადიმტერე შენი ძმა და თვისი.  
 აქამდე რომ თავისუფლად სუნთქავდი,  
 ახლა გახდი უტყვი მონა სხვისი.  
 თქმა არ უნდა, ყველამ კარგად იცის,  
 ქართულ მიწას აფხაზეთი შვენის.  
 სადღა არის სილალე და სიუხვე,  
 სიამაყე და სახელი შენი?  
 შეგაცდინა გაიძვერა „მოყვარემ“.  
 აქამდე მას მფარველად რომ თვლიდი.  
 ახლა უკვე რაც ყოფილა ხომ ვხედავთ:  
 ორგული და ფლიდი.  
 დაუბრუნდი შენს ცხოვრებას დველებურს,  
 როგორაც ეს შემოქმედმა ინება!  
 სანამ დროა, იცან შენი მოკეთე,  
 სულ არ გაქრეს ქვეყნად შენი ხსენება.

2010



მომცა ერთი ფიჭვის ოდა  
 ცაცხვის ხით და ეზოთი,  
 მობიბინე კოინდარით,  
 შორეული მეზობლით,  
 პანაწინა ვარდის ბუჩქით,  
 ვაზით ხეზე გასულით,  
 ძველიძველი ნავთის ლამპით  
 „დროით ფერგადასულით.“  
 ...და შორეულ ტყის ნაპირას  
 ვერვინ მნახოს მიგნებით,  
 მაგიდაზე სველი დოქით,  
 კარადაში – წიგნებით...  
 მზის სხივი და სითბო მომცა,  
 სურნელება ადესის.

მოვევდე, თუკი რამ ვინატრო  
 უფრო უდიადესი.

1980



„ქართული რაპსოდია“  
 (ერეალე ჯაბაღარის უკვდავ ხსოვნას)

სად მიმქრალო ცეცხლო,  
 ნაღვერდალი დაგრჩა...  
 რა მირონი ეცხო  
 შენს ჯაფას და გარჯას!  
 მიტოვებულს ყოვლით  
 ვწება ეშენება,  
 ემუქრება ქოლვით  
 ქვა და შეჩვენება,  
 დატირება სხვისგან  
 და უცრემლო სევდა,  
 მოგონება რისიც,  
 მნარედ გულს რომ ხევდა...  
 მსობლიური ჰანგი!  
 არვინ გეტყვის შენ ავს!  
 სამშობლოზე კარგი,  
 ერთი, მითხარ, ვინ გყავს?  
 დაკვნესილო შორით,  
 ხან სევდავ, ხან რიხო!  
 ვეღარ მოგიშორო,  
 ვეღარ გაგირიყო!  
 ჩემი ხარ, ვით ზეცა  
 ჩვენი ქვეყნის მთელის,  
 შენს ჰანგებში მზე და  
 საქართველო მღერის!..  
 სად მიმქრალო ცეცხლო,  
 მაინც აქეთ ინევ,  
 ვით უწყვეტი ექო,  
 დაგვიბრუნდი ისე!

1980

## დრო

ნუ კარგავ წამს, ნუ კარგავ წუთს!  
 დროს დიდ სიმდიდრეს უტოლებენ, –  
 დრო მართავს ქვეყანას, დრო მართვას სამყაროს,  
 დრონი მეფობენ, დრონი ბატონობენ!  
 დრო გააჩნია თვით ყველა საგანს,  
 ყველა განზომილებას, ყველა პერიმეტრს,  
 ზოგს ყოფნის დრო აქვს იოტის ოდენა,  
 ზოგი მოითხოვს უფრო მეტს.  
 დრო ყველასათვის არ არის ერთი,  
 ყველა ნივთს თავისი დრო აქვს...  
 ყველა დრო რაღაცა თვისებას ავლენს,  
 ყველა დროს რაღაც თავისი მოაქვს.  
 ყალბია, დრო თითქოს ჩვენ მოგვიგონია  
 და დამოუკიდებელი არ არის ის,  
 დრო იყო და არის თავისთავადი,  
 მიუწვდომელი ჩვენი არსისთვის.  
 დროს ყველაფერი მიაქვს და მოაქვს,  
 ყველაფერს თავის ჭკუაზე ანყობს,  
 იგი განაგებს ჩვენს წუთისოფელს  
 და ანესრიგებს წარსულს და ანყობს.  
 ნუ კარგავ წამს, ნუ კარგავ წუთს! –  
 დროს დიდ სიმდიდრეს უტოლებენ, –  
 დრო მართავს ქვეყანას, დრო მართავს სამყაროს,  
 დრონი მეფობენ, დრონი ბატონობენ!...

2011

მტვერი ყველაფერს ედება მძიმედ,

მტვერი ყველაფერს ფარავს,

ყველაფერს მიაძინებს,

არარსებითს თუ მთავარს.

დაიფარება მტვერით

პირამიდებიც ალბათ,

მოგვეჩვენება ბევრი

ჭეშმარიტება ყალბად.

მტვერი ყველაფერს ედება მძიმედ,

მტვერი ყველაფერს ფარავს –

ედება მტვერი სევდას თუ იმედს,

სიტყვას, აზრსა თუ კალამს.

ედება მტვერი სიყვარულს ფაქიზს,

მთებსაც ედება მტვერი,

ყველაფერს ქვეყნად მტვრის ფერი აზის –

ყველა სულდგმულის მტერი.

მტვერი ედება ყველაფრს, ყველას,

ცოცხალ თუ უძრავ საგანს,

დრო ულმობელი ყველაფერს ცელავს,

მტვერი აფარებს საპანს.

მტვერი სიკვდილის ზარის მრეკავი

და მიძინება მხოლოდ,

არის ყველაფრის გადამლექავი,

ყველას თავი და ბოლო,

მტვერი ყველაფერს ედება მძიმედ,

მტვერი ყველაფერს ფარავს,

ყველაფერს მიაძინებს,

არარსებითს თუ მთავარს!

\*\*\*

ყველაფერი იბადება, ყველაფერი კვდება,  
 ყველაფერი რაც ქორფაა, ბოლოს მაინც ჭენება.  
 ყველაფერი რაც იწყება, დასრულდება კიდეც,  
 ყველაფერს აქვს თავის ბოლო, სასრული და კიდე.

ასეთია ეს ცხოვრება-უცნობი და თავნება,  
 ყველაფერი რაც იწყება, უეჭველად თავდება.

2008

\*\*\*

დრომ თუ ვინმე აგვიჩემა –  
 დამყოლნი თუ ურჩები,  
 თუ ნიშანში ამოგვილო,  
 ველარ გადაურჩები.

2008



არავინ იცის,  
როდის და როდის...  
დრო მოდის,  
მოდის,  
მოდის და მოდის...  
ცხოვრება არ არის ყველასთვის  
ერთი და იგივე ასლი.  
ყველას თავისი მოუდის დრო  
ნასვლის.

2011

**የፌዴራል በኩርና ማረጋገጫ ከፌዴራል**

თუ არ გნამს შენი ნარსული,  
ძველს თუ არა სცემ პატივს,  
მე გეტყვი მხოლოდ ორ სიტყვას,  
უბრალოსა და მარტივს:  
ვისაც არა სურს მამულის  
რომ მოიხადოს ვალი,  
მას აღარც ანმყო ექნება  
და აღარც მომავალი!

2011

ეს კაცი ერთ დროს ზღვას ჰეგავდა მბორგავს,  
 ამჟამად რიყედ ქცეულა თითქოს.  
 შიშნეულ მზერით ყორის პირას დგას  
 და გამვლელთაგან ხურდა ფულს ითხოვს.  
 დიდი ხანია, რაც არ უგრძენია  
 მახლობლის სითბო, ქალის სხეული,  
 მიტოვებული ცხოვრობს მარტოკა,  
 დაბოლმილი და გულჩახვეული.  
 დრომ მოიტანა – დრო დგამს სპეკტაკლებს,  
 მხოლოდ ის მართავს ამგვარ თამაშებს:  
 დღეს დიდებულის სახეს განიჭებს,  
 ხვალ ნაძირალას როლს გათამაშებს.

2012



\* \* \*

აქ გაიარა ჩემმა ბავშვობამ –  
ახალგაზრდობა მთელი!..  
აქ იყო ბედთან ის შერეკინებაც,  
და ის გრძნობები წრფელი,  
სევდაც აქ იყო, რამაც დამრთვილა,  
უპე რომ დამრჩა სველი...  
ის რაც ნავიდა, არ დაბრუნდება,  
ნურც ფიქრობ და ნურც ელი.

1977



ვბრუნდები და თითქოს ზეცა თავის რისხვას მახლის –  
მტკრიანი და შებოლილი ჩვენი ძეველი სახლი.  
სადაც უწინ სინათლე და სიხარული ენთო,  
მდუმარებით შემომცეკვის დალვრემილი ერდო.  
ვხედავ ნივთებს მიმობნეულს მამის, დედის და დის,  
მეჩვენება თითქოს ვიღაც ფეხაკრეფით დადის.  
ვდგავარ უხმოდ, დასეტყვილი, მკერდზე ცრემლი  
დამდის,  
მაკრთობს ნახვა უეცარი უსიცოცხლო ლანდის.  
თითქოს მესმის მათი სუნთქვა, ნაბიჯები მძიმე,  
თავს მადგია მთელი სახლი, როგორც ბნელი მღვიმე,  
და უკაცურ ოთახებში ოხვრა მესმის ახლოს.  
მოვწყდი ადგილს, მოვირბინე მთელი სამოსახლო.  
იგი ღამე ამ ნამებით გავატარე მწარე.  
შეუცნობელ ძრნოლას მგვრიდა ჩვენი არემარე.  
და გავქვავდი, თითქოს უცებ მეცა რაღაც ელდა –  
აღარც დაი, აღარც მამა, აღარც ტკბილი დედა.  
ვიდექ ასე მარტოდ მარტო ნარსულ ლანდთა შორის  
და მესმოდა მხოლოდ მათი ხმები შორით შორი.

2011

## რამ მომანატრა

გონიერა მნარედ მახსენებს წარსულს,  
 ფიქრებს ფიქრებზე მისევს,  
 არ ვიცი, უცებ რად მომაგონდა  
 ჩემი მშობლები ისევ.  
 არ ვიცი, უცებ რამ მომანატრა  
 დედის ღიმილი ძვირი,  
 არ ვიცი, ვიღაც ჩემს უკან სადღაც  
 ქვითინებს, თუ მე ვტირი.  
 რამ გამახსენა მამის ხელები,  
 იმ ძველი სახლის ერდო,  
 სადაც ათასი სიზმარი ვნახე  
 და ოცნებები ენთო?  
 რამ მიმიყვანა მე იმ წარსულთან,  
 წლების იქეთ რომ დარჩა?  
 დავეძებ მიზეზს, დავეძებ საბაბს,  
 მაგრამ არადა არ ჩანს.

2000

## ცეტავ ისევ

ნეტავ ისევ ბრუნდებოდეს ეს ცხოვრება თავიდან,  
 ერთხელ მაინც შემახვედრა, რაც იყო და გავიდა.  
 მაგრამ როცა მოვიგონებ ჩემს მშფოთვარე წარსულს,  
 ბევრი რამის გახსენება, მომკალი-და, არ მსურს!

2010

\*\*\*



როდის შეიმოსებით, ხენო, ისევ თავიდან,  
გაძარცულნო სიცივით და ქარბუქით ავითა?

როდის ამნვანდებიან თქვენი შხვართა ტოტები,  
მაღლა აზიდული თუ ირგვლივ განატოტები?

როცა დაწყლიანდებით და ნორჩ კვირტებს იბერებთ,  
მაშინ მეც მავინწყდება ჩემი ჩუმი სიბერე.

2010

## ჩამს მემორაბეს

გრილი ქარი, შარი-შური –  
გზად ფოთლები ნაყარი,  
მიინურა შემოდგომა –  
ცივი ზამთრის მაყარი.  
ლრუბელ-ლრუბელ იჭყიტება  
მზე სამხრეთით დახრილი,  
მაგონდება რაღაც სევდით  
მაისი თუ აპრილი...  
და როცა მთას მოადგება,  
ლამით მთვარე ელამი,  
ნეტავ რატომ მაგონდებით,  
მეგობრებო ყველანი?

1997

## ნ. ჯ-ს

როგორ მინდა შენი ნახვა  
 სწორედ ახლა, ამ ნუთში...  
 სწორედ ახლა!  
 სწორედ ახლა!  
 მაგრამ დროში ნარსულში.

2009

## გამაჩვევი

მუდამ შერომა, მუდამ გარჯა,  
 შუმლზე ოფლი ნადენი.  
 მწუხარება ასჯერ-ასი,  
 დარდი-ორი ამდენი.  
 გაუხსნელი ცა და ბედი,  
 შური-კაცის ამკლები.  
 სიხარული-ერთი-ორი,  
 შვება უფრო ნაელები.  
 მუხა ტოტებაღერილი,  
 უცნაური იმითიც,  
 მუდამ ჰქონდა გული სავსე  
 სითბოთი და იმედით.  
 უსასრულო ცა და სივრცე,  
 გაფანტული ღრუბელი,  
 რუდუნებით მოუღლელი  
 წყარო დაუგუბველი.

მეხის ცემა ულმობელი  
 გადავლილა რამდენი!  
 მწუხარება ასჯერ-ასი,  
 დარდი-ორი ამდენი.  
 ზამთრის ქარი მონაბერი,  
 ხმელ ფოთლების ამკლები...  
 სიხრული ერთი-ორი,  
 შვება უფრო ნაკლები...  
 და რამდენი გაფიქრება:  
 „გათავდა და ეგ არი!“  
 მაგრამ იდგა მუხა მძლავრი,  
 მუხა მხნე და მედგარი.

1996

## უკანასკნელ სარეცელზე

(მამის გახსენება)

თეთრი საწოლი... მძიმე პაერი,  
 მბჟუტავი სხივი, შავი ფიქრები:  
 – დღეს-პო! მაგრამ ხვალ? ხვალ, ჩემო კარგო,  
 ვიქნები?..

წუთი მწყურია ამიტომ ახე,  
 ასე მწყურია ყოფნა ყველასთან!  
 სხვა დარდი არ მაქვს-დარდი ქონების,  
 დარდი სიმდიდრის, დარდი ფალასთა!..  
 გავთრთხილებივარ სითბოს სულისას,  
 არც დამჭირვია ქვეყნად სხვა რამე,  
 ვიცი, გული თუ ჩემი დაიმსხვრა,  
 თქვენი გულები შემიფარავენ!

1978

რად დამესიზმრე, დედავ?...

შუბლზე შემახე ხელი:

– რა მოგივიდა, შვილო,

რად ხარო ასე ცხელი?... –

არ ვიცი, ეს რა ვიხილე, –

სიზმრად იყო თუ ცხადი? –

ამოიხსრე წუხილით,

შემომხედე და წადი.

გეძებე, ვეღარ გიპოვე,

ვეღარ მოგუარი თვალი.

ვერაფრით ვეღარ შევიცან

ვით გაქრა შენი კვალი.

თითქოს მეძახდა ვიღაცა,

მაგრამ არ ჩანდა არავინ.

და იდგა უძრავ ლოდივით

სიჩუმე გაუბზარავი.

იმ ღამით დიდი წვალებით

ვკვნესოდი გულმხურვალი,

მკერდში ღულდა ღადარი,

სახეზე მენთო ალი.

ვიწოდი, სუნთქვა მეკვროდა,

მთელი სხეული თრთოდა...

უაზრო გამოხედვა და

კვნესა, ოხვრა და ბოდვა...

და სწორედ იმ დროს ვიგრძენი

შეხება შენი ხელის,

შეწუხებულმა რომ მკითხე:

„რად ხარო ასე ცხელი?“

და უცებ დაცხრა ღადარი,  
 სხეულს მიეცა შვება,  
 გამშორდა ყველა სნება და  
 სიძაბუნე და ვნება.  
 მას შემდეგ, როცა ავად ვარ –  
 მე ასე დამებედა:  
 არ შეიძლება სიზმარში  
 არ მომევლინოს დედა.

2010

## გახსენება პატუმის ქუჩები ხეთიალისას (კემალ დიასამიძეს-ახლა უკვე განსვენებულ მეგობარს)

მახსოვს ძველი ბათუმი  
 დაბალ-დაბალ სახლებით,  
 თავსამა წვიმით, მხურვალე მზით,  
 ძველებით თუ ახლებით,  
 მოლალანე დუქნებით,  
 სურნელებით ყავისა,  
 მოხუცების მონათხრობით –  
 ერთ დროს რაც ვიყავითა,  
 სწორი, ფართო ქუჩებით,  
 მართლაც რომ ღირს ფასად ის,  
 სიმრუდეთა უჩვევი –  
 კლასიცისტურ ფასადით,  
 მოკირნყლული ეზოებით,  
 ალაყაფის კარითა,  
 იზაბელას ხეივნებით  
 და პალმების ჯარითა,

მოჩიოჩქოლე ბაზრის დილით,  
 მნვანილით და თევზითა –  
 ყველაფერი, რაც კი სოფელს  
 ღამით ჩამოეზიდა.  
 დილის სწრაფი შარი-შურით,  
 სკოლის გაბმულ ზარითა,  
 მუდამ გულმკერდგაღელილი,  
 ფანჯრითა თუ კარითა.  
 ღამის ნაზი სილუეტით,  
 მბუუტავ ფანრის შუქითა –  
 გაქრა ძველი იდილია,  
 ახალს ხელს რომ უშლიდა.  
 ეპ, სადღაა ბათუმის  
 ძველისძველი სახლები!..  
 მათაც გაჰკრა მძიმე ფრთა  
 ტალღამ გამოახლების,  
 აღარც გასაჭირია  
 და ცხოვრების სიძნელე,  
 მაგრამ აღარც წარსულის  
 საამური სიძველე,  
 აღარც ცხენთა ფლოქვის ხმა,  
 მეეტლეთა „ხაბარდა“...  
 მასთან ერთად ყველაფერი  
 უკვე წარსულს ჩაბარდა.

1978

როცა წარსულს ვიგონებ,  
გული ახალს მას ადრის –  
მყუდროება მტვრიანი  
მზით გამობარი მანსარდის,  
მოთელილი მუთაქა,  
გაცვეთილი ფარდაგი,  
ნიგნის ჩუმი შრიალი  
დღე უქმე თუ სადაგი.  
საამური ზმორება  
უდარდელი ცხოვრების...  
რომანს ცეცხლი ედება  
საყვარლების, მსტოვრების,  
იქ ღალატი, აქ მტრობა,  
მეგობრობა, წამება...  
ჩაიტანეს ყოველი  
გატაცების წამებმა.  
ნიგნი ნიგნი მიყოლილი –  
შევსებული ლაქუნა...  
სადღაც ისმის თანაბარ  
ცხენთა ფლოქების კაუნი...  
დაბას ძინავს მდუმარედ,  
შორს არაა ციალი.  
ჩემთან-სუნთქვა უძილო  
და ფურცლების შრიალი.  
მთვარე ზღვისკენ დახრილა  
სანაპიროს ფასადით,  
სევდით შემოიარა  
ჩემი ძველი მანსარდი,

გათელილი მუთაქა,  
 გაცვეთილი ფარდაგი,  
 ნიგნის ჩუმი შრიალი  
 დღე უქმე თუ სადაგი...  
 ის დრო დიდი ხანია,  
 ვით ჩავლილი ცხოვრება,  
 გაქრა, მაგრამ მარადუამ  
 ტკბილად მემახსოვრება.  
 ნატვრა ნარსულ დღეების  
 ვერაფერმა გალია –  
 ქობულეთი-დაბახანა –  
 ჩემი ოქროს გალია.

1979

## იგ ძიდი სახლის გახსოვს ასელი (ეთერ ცოვაძეს-დიდებულ ქალბასტონის)

ძველი ქალაქი-ცის და ხმელეთის  
 შემაერთები ათას ფერებთ,  
 ბევრთაგან ბევრჯერ განადიდები,  
 შემკობლი და მონაფერები.  
 ქალაქი-შავზღვის მწვანე მშვენება,  
 ძველებითა თუ მისი ახლებით,  
 მისი ბალებით, მისი სკვერებით,  
 მისი ქუჩებით, მისი სახლებით.  
 იყო და არის მართლაც ოცნება,  
 მოგონებთა მთელი საუნჯე...  
 წმინდად ვინახავ გულში ყველაფერს,  
 რაც ბავშვობიდან აქ დავაუნჯე.

მოგონებათა მწყობრ ნაკადიდან  
 ბევრი შემომრჩა და არ მშორდება,  
 ვწუხვარ, რომ ცხადში ეს ყოველივე  
 ან ვეღარასდროს განმეორდება.

ვიცი, პატარა ჩვენი ქალაქის  
 დიდი ოჯახი-რითაც იწყება;  
 წინაპართა და შთამომავლების  
 არ შეიძლება გადავიწყება!  
 იმ დიდი სახლის მახსოვს ასული, –  
 არ გამინყრება, ვიცი, გამხელით, –  
 სწამდა ოჯახის ტრადიციები,  
 მისი ღირსება, მისი სახელი.  
 ახლაც ვიგონებ მის ნათელ სახეს,  
 მზერა, მიმოხვრა და ხმა წერიალა...  
 რამდენი რამე მოხდა მას შემდეგ,  
 რამდენმა წელმა გადაიარა.  
 ახლა კი შევხვდი უკვე ქალბატონს,  
 რა ვქნათ, გვეცვალა ძველი იერი,  
 მაგრამ სამიოდ თაობის მომსწრე,  
 ის დღესაც არის მხნე და ძლირი.  
 ისევ ის ძალა და შემართება,  
 თვალთ ხილული თუ განაგონარი,  
 ცხადი გონება, ხიტყვა ფხიანი,  
 სიკეთის თესვის დიდი უნარი...  
 და მიბყრობს ჩემი მძიმე ფიქრები,  
 როს მაგონდება დრო გარდასული!  
 შეიძლებოდეს, ნეტავ, კვლავ ვნახო  
 ის დიდი სახლი და ის ასული!

2011

ამ შეარის მკვიდრს – ვახტანგ შანიძეს

მინდა ერთხელ კიდევ ვნახო  
ჭოკნარი და საჯავახო,  
ნოღის ყელი, ტოლების მთა,  
სახნავი და საბალახო,  
ხევიწყალა, საყორნია,  
აზიდული ზანდოს ქედი...  
ცხოვრებაში თან დამყვება  
ეს ბუნება და ეს ხედი.  
იქ ქვაყუდის მყუდრო ფურქს  
ქობში ენთო ძველი ლამფა,  
სად ცხოვრობდა ნინაპარი –  
ჩემი პაპის, პაპის პაპა...  
მე იქ თავზე დამთენია,  
პეშვით მისვამს ცვარი გრილი,  
ციურ ხატად დამრჩენია  
ის მხარე და ის ადგილი.

1995



(კატეგორიას)

ადრე დილით უთენია,  
როცა ღამე მითევია,  
გამოვსულვარ მერე დილით  
და ქუჩები მითელია,  
ამყოლია სევდა რამე,  
გზა ფიქრისთვის მიტევია,  
შემიგრძნია, იმ გრძელ ღამეს  
გულს რა სევდაც უტევია.

დაღალული თვალით ვხედავ  
 მიმოფანტულ დღეთა ცვენას,  
 ვეღარ ბედავს გული უკვე  
 ძველებურად ალმაფრენას,  
 აღარ ჩანან ის სახენი,  
 სადღა არის ძველი ლხენა,  
 გზა მოქრილა დასახევი,  
 მორჩია – გულმაც მოისვენა.

სად ნავიდნენ მეგობრები,  
ახლა იცნობს ნეტავ ვინ ვის?  
რად გადიდდა მოგონების  
ფასი, როგორც ძველი ღვინის,  
გაგვიმრუდდა ბილიკები,  
გზები დაგვიშორიშორა,  
სევდა ვეღარ გავინელე,  
მწერარება მომეშურა.

მწუხარებას მწუხარება,  
 სევდას სევდა მოსდევს კიდევ,  
 ვხეტიალობ ამ ქვეყანას,  
 ფეხი ვერსად მოვიკიდე...  
 ეპ, რამდენჯერ მთელი ღამე  
 სულაც თეთრად მითევია,  
 გამოვსულვარ დილით ადრე  
 და ქუჩები მითელია.  
 ამყოლია სევდა რამე,  
 გზა ფიქრისთვის მიტევია,  
 არვინ იცის, იმ გრძელ ღამეს  
 გულს რა სევდაც უტევია.

1965



## იყო და არა იყო რა!

(ჩემს დას – ადას)

იყო –  
 არა იყო რა!..  
 იყო დიდი ზღაპარი..  
 რაც იყო და რაც არა,  
 დღეს უკვე ის არ არი.

იყო დიდი ოჯახი  
 აღვსებული ხალისით,  
 სულ მეგონა, არვის ჰქონდა  
 მწარე შეში ხვალისი.  
 იყო დედა, იყო მამა,  
 არ გვთოვებდნენ ნამითაც,  
 ბებია და ბაბუა,  
 დეიდა თუ მამიდა,  
 იყო და და ძამიკო,  
 და სხვა ნათესაობა,  
 ზოგი ხანში შესული,  
 ზოგიც ჩვენი თაობა.  
 იყო დიდი ეზო და  
 უამრავი ნაცნობი,  
 და ვიკლებდით ქვეყანას  
 ყიუინით და ანცობით.  
 იყო მეზობლობა და  
 პატარების ამქარი,  
 ვერაფერი გვაკრთობდა –  
 ვერც, სიცხე, ვერც ზამთარი.

მეგონა ყველა იყო  
მაგარი და ჯანმრთელი...  
ჩემთვის ყველა დღე იყო  
მზიანი და ნათელი.  
ასე ვთვლიდი: ეს ყოფა  
იყო მარადიული,  
სულაც არ მაფიქრებდა  
ყოფა ყოველდღიური,  
პოდა, მერე რა მოხდა,  
როდის დადგა სხვა ხანა?  
აფთარივით მოვარდა,  
ნამიც არ დაახანა –  
შეიცვალა ცხოვრება,  
ყველა შემომეცალა,  
ასე დავიფანტეთ და  
ასე დავრჩი მე ცალად.  
მაგრამ ეს ბედისწერა  
მხოლოდ ჩემზე არ იყო,  
ნუთისოფლის სიავე  
ყველამ ჩემებრ გაიყო.  
თითქოს სხვა ქვეყანაში  
მოვხვდი, ასე მგონია,  
ეს ცხოვრება იმ ძველთან  
რაღა შესაწონია?  
დამეშალა ნარსული  
ნაწილ-ნაწილ ფიქრებად,  
ერთი, გამავებინა,  
შემდეგ რაღა იქნება!

2009

\* \* \*

ცხოვრებაში რაც ეი მიდის,  
 უკან აღარ ბრუნდება,  
 ყველაფერი კნინდება და  
 ყველაფერი მრუდდება.  
 სახეს იცვლის ყველაფერი,  
 წარსულს აღარ მიაგავს,  
 ყველაფერი სადღაც ქრება  
 და მიჰყება ნიავქარს.  
 რაც ყოფილა, უეჭველად  
 მიდის და სხვა იწყება –  
 წარსულ კვალის გადაშლა და  
 ნამყოს გადავიწყება,  
 მაგრამ მას თუ არ მიჰყევი,  
 ძალითაც ეურჩები,  
 დაუნდობლად გაგნირავს და  
 ვეღარ გადაურჩები.

2008



ამ ქვეყანას –  
 ცა,  
 ხმელეთი,  
 ზღვა,  
 მდელო თუ  
 კორდები... –  
 სიხარულით მოვდივართ და  
 სინანულით ვძორდებით!..  
 ყველაფერი უნდა დათმო,  
 ყველას ბედი ეს არი –  
 შენი გულით სათაყვანო,  
 შენი დასაფიცარი...  
 ეჰ, რამდენი გარდასულა,  
 ცრემლი რომ დავათოვე!..  
 ზოგმა უკვე მიმატოვა  
 ზოგსაც მე მივატოვებ.  
 ისე ბრუნავს ეს სოფელი,  
 თითქოს კაცის მტერია.  
 რისთვის მოველ ამ ქვეყანას,  
 წასვლა თუ მიწერია?

2010

მოუსვენარი ვიყავ ყოველთვის  
და არ ვიცოდი დაღლა,  
მთელი ცხოვრება გადასხვაფერდა  
და რა ვიღონო ახლა?  
არაფერს არყინ არ მეკითხება,  
არც მავალებენ რამეს...  
– იყავი შენთვის წყნარად და მშვიდად,  
დღე გაათენებს ღამეს.  
უშენოდ სულაც არ დაიქცევა  
ჩვენი ქვეყანა ძველი,  
ყველაფერი გაქვს, შენ რაც გჭირდება  
და მეტს სხვას რაღას ელი?  
რად არ ისვენებ, რად ხარ მშფოთვარე,  
თითქოს მძიმედ ხარ ავად  
და ყველაფერი ამ ქვეყანაზე  
რად გეჩვენება შავად?  
– მოსვენება ხომ მეყოფა მერეც –  
ეს ფიქრი მტანჯავს მუდამ.  
ვით მოვისვენო, როცა კაცს, ვიცი,  
ამდენი რამე უნდა?  
მოუსვენრობა მქონდა წვალებად...  
მეორედ განა მოვალ?..  
ახლა მიტომ ვარ მოუსვენარად,  
მოსვენებული რომ ვარ.

2010

\* \* \*



დამღალა ცხოვრების პროზამ –  
ასეთი მქონია ბედი –  
ანმყოში ვერსფერს ვხედავ,  
ბნელია მომავლის ხედი,  
მიწურულია სიცოცხლე  
და გაჩერდება წამი ხად?  
„ცდების და ცდების სიკვდილაა,  
ვინც არ მოელის წამისად“...

1997



ქარი, ქარი, ქარი!..  
მარტი დასაძლევი.  
ზღაპარს მიაქვს ღამე –  
ჭინკა-ჭოტი-დევი...

არეული ცა და ნისლი,  
მიწა ნაწვიმარი...  
ჭალა, ძეძვი და მუხის ხე  
მეხით გადამწვარი.

ქარი უსტვენს სადლაციდან,  
ტყეს ედება შიშის ზარი.  
ნანგრევებში მიმალულა  
ოჩოპინტრე საზიზღარი.

შავი მქისი ღრუბელი,  
როცა ზეცას ფარავდა,  
იჭექა და იქუხა,  
მთვარე დაპატარავდა.

ბუჩქებს შორის ჭინკა დარწნის  
ყიამყრალი, მზეშავი,  
ჭაობებში დასდევს ქშენით  
შავ გველს მისი მგეშავი.

აიკეცა ფრთები მძიმედ  
დაქანცულმა ქორმა,  
სულში ურუოლად გაატანა  
მისმა განაქროლმა.

გადაიქცა ეს ქვეყანა  
 ქარის სანავარდოდ  
 და ვიღაცის ლანდი დაქრის  
 ლამით მარტოდ მარტო.

ცივი ქარით, როგორც შხამით,  
 მენამლება ტვინი.  
 მინდა, თუნდაც ერთი წამით,  
 შვება ვიგრძნო ლვინით,  
 დავენაფო, დავივინყო,  
 ალარ ვიყო გონად,  
 არ მესმოდეს, რასაც ჰყვება  
 ჩემდა გასაგონად.  
 რად მახსენებს ათი ათას  
 სიმწარეს და წყენას,  
 რატომ ალარ დააყენებს  
 იმ საძაგელ ენას?  
 ღმუის როგორც აღრენილი  
 ტყის საშიში მხეცი,  
 გაიხარებს, ვიცი, წალდად,  
 თუ კი წავიქეცი.

გადაიქცა ეს ქვეყანა  
 ქარის სანავარდოდ,  
 დავრჩი სულით გაძარცული  
 ლამით მარტოდ მარტო.

2011

## მე ვინ მერჩის, ვისი რა მაქვს?..

ჩემი ქოხი განზეა.  
 ჩემი გზების მანათობლად  
 არც მთვარეა, არც მზეა.  
 ფეხი ვერსად მოვიკიდე,  
 ვერსად ვეღარ ვმყარდები,  
 დღეს იქნება-ხვალ იქნება  
 ალბათ გადავქარდები.  
 სად ვიყავი, ახლა სად ვარ,  
 საით წავალ, რა გზებით?..  
 ვეზეტები დასეტყვილი  
 შფოთვითა და აღზნებით...  
 ამეკიდა ეს ფიქრები –  
 ჩემი მძიმე ხუნდები, –  
 მომავალი არა მაქვს და  
 ნარსულს ვერ ვუბრუნდები.  
 ამგვარ ყოფა-ვაივიშში  
 გავთავდები ერთ დილით,  
 ამ ჩემს ბორგვას და ხეტიალს  
 დაესმება წერტილი.

2009

როგორც გვიანი მაცნე  
შემაძრნუნებელ ამბის,  
გამომეცხადე, მაცნე  
გაორგულება ჩანგის...  
გადატეხილი ღერძი  
მიმოხვეული სიმზე,  
ჩამოლენილი ვერძი  
პატარა გემის ქიმზე –  
შენს გრძნობის თანაზიარება,  
ფიანდაზად რომ გეგო,  
ავადმყოფ ფანტაზიას,  
ასეთი ხვედრი ერგო.

1966

სევდა გადაეცანოვილი

მე ძლიერ, ძლიერ დამღალა სკოდამ  
 და მარტოობის მფორე ფიქრებმა.  
 ნუ თუ დარდები დღემდე რომ მდევდა,  
 არ გამიქრება...  
 არ გამიქრება?  
 ახლა მზე ქუჩას შავ ზეთად ადნობს,  
 აგვისტოშიც თუ ასე იქნება –  
 ამღვრეულ თვალის მიბჯენა ტატნობს,  
 და მდუმარება...  
 და ჩაფიქრება!..

შენ, ვისაც ახლა ჩემი ალერსი  
 შორი-შორიდან მოგწვდება ალბათ,  
 გაგახსენდება, ვიცი, ამ ღექსით  
 ჩვენი ბაგეთა შელენვა ხარბად...  
 ათრთოლდები და ვით ნაზი ფითრი  
 ქარნალებული შიშის იგრძნობს რაკი...  
 ეჲ, ოხრად დარჩეს ეს მნარე ფიქრი,  
 ეს ტყე, ეს მდელო, ეს აგარაკი!..  
 გავუძლებ ალბათ მძვინვარე ზაფხულს,  
 ავიტან სიცხეს ელვარე ქუჩის,  
 თუ გავუძელი მხოლოდ მე ამ გულს,  
 და მარტოობას თუ გადავურჩი.  
 მე ძლიერ, ძლიერ დამღალა სევდამ,  
 და მარტოობის მდორე ფიქრებმა,  
 ნუ თუ დარდები დღემდე რომ მდევდა,  
 არ გამიქრება...  
 არ გამიქრება?

1965



არა უშავს რა, არა უშავს რა.  
 ყველაფერს თვისი აქვს **საზღაური.**  
 ყველა გადივლის თავის **მწვერვალებს,**  
 დაუდუმდება გულის **ხმაური...**  
 ყველას თავისი აქვს **საზღაური.**

თუ ვინმე ფიქრობს, მისი **ცხოვრება –**  
 აქაფებული ტალღა **ზღვაური,**  
 მუდამ იბორგებს ასე მშთოთვარედ,  
 ასე ლამაზი და უცნაური...  
 ცდება, ყველაფერს აქვს **საზღაური.**

მოგეკითხება ყველა ნაბიჯი,  
 ყველა სიტყბო და დღესასწაული,  
 და რაც არასდროს არ შეგიგრძენია,  
 გახდება იგი დღეს **საცნაური...**  
 ყველაფერს თვისი აქვს **საზღაური.**

არა უშავს რა, არა უშავს **რა,**  
 ცხოვრება გართობს **აურზაურით,**  
 მაგრამ მოვა დრო, მოგთხოვს **განკითხვას**  
 თავის **საზომით** და **საწყაულით...**  
 ყველაფერს თვისი აქვს **საზღაური.**

1978

## დასრულდება ზღაპარი



საცა არის ისევ მოვა მწუხარე,  
გაცვეთილი ზამთრის რუხი საფარი,  
დადუმდება ჩვენი გული მქუხარე,  
დასრულდება ზღაპარი!

აღარ იყლის თეთრი აფრით ოცნება,  
აღიგვება ყვავილები ნაყარი,  
ლურჯი ფიქრი რა ტყულად მოცდება,  
დასრულდება ზღაპარი!

უბოლოო, გრძელი, ცივი ღამენი  
და გრძნობები სუსხისაგან ნაფარი,  
აიმღვრევა როგორც ავი რამენი,  
დასრულდება ზღაპარი!

ვერ გიშველის სასოება და ლოცვა,  
როს ჩაქრება იგი გრძნობა ნაპარი,  
როს დაჭკნება ყველაფერი, და როცა  
დასრულდება ზღაპარი!..

1968



ტყის ჩუმი ალერსი დამფარავს სიმშვიდით  
 და გრილი ბორიო ხავსის სუნს მოიტანს,  
 ხასხასა ფოთლებში გასხლტება ვით მშვილდი  
 მზის სხივი და აჭყრის დასიცხულს მოლი ტანს.

ბუჩქების ჩქერები, დუღილი წყაროთა,  
 დამპალი ტოტები-სუნთქვაა ზღაპარის...  
 ვიგრძენი, ცხოვრება მართლაც რომ მწყუროდა  
 არა ხააქაო, რაღაც სულ სხვაგვარი.

მოვშორდი ნებიერ ქალაქს, მივატოვებ,  
 სოფელსაც დავაგდებ, არ მინდა არადა,  
 ტყე შეასავსეებს ჩემს გრძელ სიმარტოვეს,  
 ტყის ნაზი ქალღმერთი თუ დამიფარავდა.

1963



წარსულს მე არ მივტირი,  
 ნანატრი იქ რა არის!..  
 ოღონდ ვნატრობ იმ ტირიფს,  
 სადაც ლურჯი ცა არის...  
 სადაც იხავერდება ხავსი –  
 ნამის დობილი,  
 სადაც გული ვერ დგება,  
 სიყვარულს მინდობილი,  
 სადაც წყაროს ნაპირას  
 დაღვრემილი ტოტები  
 შემოხვევას გიპირებს  
 ჭალას გადმობოტებით,  
 სადაც არის ფარული  
 ადგილები ჩეროთა,  
 სადაც მე სიყვარულის  
 მართლა რაღაც მჯეროდა,  
 სადაც სითბო უგრძვნია  
 გულს, ოცნებაც მეღირსა,  
 სადაც ერთი კუნძია,  
 გაპობილი მეხისა!

1962

მე აღარა ვნერ, ძვირფასო, ლექსიბს,  
 მხოლოდ დაწერილს ვიგონებ ხშირად,  
 შემონახული ძველი ფურცლები  
 გადაქცეულა ფერფლად და ჩრდილად,

მე აღარ მომდგამს ძველი სიცოცხლე  
 და სურნელებაც აქლია სიტყვას,  
 სევდით ვულიმი შორეულ აზრებს,  
 ერთხელ გრძნობით მთვრალს შენთვის რომ მითქვამს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა იდინა  
 და დამრჩა მხოლოდ მოსაგონარი,  
 აღარ არსებობს სიტყვა ლამაზი,  
 სიტყვა მოქნილი, სიტყვა ჰონორი...

მხოლოდ აზრების მკაცრი სერია  
 და განსჯა მძიმე, ზანტად მთვლექმარი,  
 ჩემს მეტყველებას შემოერია,  
 მდაბალი პროზა მოსაწყენარი.

მე ჩემს თავს ალბათ კიდევ გამოვცდი,  
 მოესინჯავ-ლექსებს კვლავ ჩავუჯდები,  
 და თუ ვერ ვპოვებ სიტყვას ძველებურს,  
 ან თავს მოვიკლავ, ან დავმუნჯდები!

მითხარ რამე!  
ეგი ღამე  
ისევ მოვა განა ეიდევ?  
ბევრი დაგრჩა გასამხელი  
მაგ გრძნობების გადამკიდეს.

მითხარ რამე!..  
თუ ვენამე  
და ეჭვებით დაღალული,  
ვერ მივმხდარვარ, რად გაქვს ასე  
გული ადრე დაღარული.

მითხარ რამე!  
შემედავე,  
არ მომივა აწი ლული.  
ნუ ხარ, ნუ ხარ ასე უტყვი  
შენს ფიქრებში ჩამალული.

მითხარ რამე!..  
სითამამე  
რად აშინებს ნაგვემ სხეულს,  
ვინ გაშფოთებს, ვინ განამებს  
ასე ობოლს, ასე ეულს...

მითხარ რამე!  
თორემ ღამე  
მიდის მიწყიც ნება-ნება,  
და რომ ვერ თქვა აღსარება,  
ვიცი, მწარედ გენყინება.

1968

ყველა ფლიდი, მრუში, ბილნი  
ნმინდა ტაძარს მოესია.  
მოვიკლავდი თავს უთუოდ,  
რომ არ იყოს პოეზია!

ყველაფერი აირია  
იმ დღიდან და მას უკან...  
მოვიკლავდი თავს უთუოდ,  
რომ არ იყოს მუსიკა!

ამ ცხოვრებას იმ ყარყუმეთს,  
აბა, როგორ შეადრი?  
მოვიკლავდი თავს უთუოდ,  
რომ არ იყოს თეატრი.

ვის უნდიხარ, ვინ გეითხელობს:  
იქნები- არ იქნები?  
მოვიკლავდი თავს უთუოდ,  
რომ არ იყოს წიგნები!

გზა არ არის ხსნის და შველის,  
საით ნახვალ, რას შეები?..  
მოვიკლავდი თავს უთუოდ,  
რომ არ იყვნენ ბავშვები.

1980

## მგონი უმჯობესია

„რაც მეტს შევიცნობ, მით ნაკლები ვიცი“

ტომაზო კაშპანელა



მე რაც ვიცი-კარგად ვიცი,  
ეს ცხოვრების წესია –  
რაც არ ვიცი, ის ვიცოდე  
ბევრად უკეთესია.  
ვერ მიშველის ცხოვრებაში  
ვერც ღმერთი, ვერც მესია,  
არ ვიცოდე არაფერი,  
მგონი უმჯობესია.

2009

## უძმად მოლაპარაკე

ყველას ეუხსნი, ვარნმუნებ,  
ვღალადებ, ვედავები:  
ახლა აღარ არიან  
ძველი ბრძენი თავები,  
სულიერ ლირსებებზე  
აღარ ზრუნავს არავინ,  
ჩვენი ხელისუფლება  
ცრუ არის და მპარავი.  
აირია ქვეყანა,  
რამე უნდა ვუშველოთ,  
გადავშენდით მგონია  
უძიროდ და უშვილოდ.

ამნაირი მმართველი  
 ჯერ ჩვენ არა გვყოლია,  
 ღმერთს ამოფარებულინი,  
 სატანას აჰყოლიან.  
 ეს ცხოვრება რა არის?  
 ერთი მონაკვეთი.  
 ამდენ უმსგავსობას  
 როგორ იტანს ღმერთი?  
 სიტყვით ვერაფერს გავხდი,  
 დავრჩი განაქიქები.  
 ვიღას უნდა ეგ შენი  
 სწავლა, ცოდნა, წიგნები?  
 ვის ჭირდება გონება? –  
 უქმად ვყბედობ, მგონია,  
 მე ამგვარი ამბავი  
 არსად გამიგონია!  
 ყურს არ უგდებს არავინ  
 ახლა ამგვარ არაკებს...  
 ერთი გამაგებინა,  
 მე რა მაღაპარაკებს?!

2008

## თუ კაცი ხარ

თუ კაცი ხარ, ერთს გეტყვი,  
 მარტივად და მოკლედ:  
 კაცად უნდა იცხოვორო,  
 კაცად უნდა მოკვდე!

2011

ყველაფერი დროს თან გაჲყვა:  
ფიქრი, აზრი, ნაღველი,  
სიხარული, აღტაცება,  
ვაჲკაცური სახელი;  
გული დადნა, სულ სხვაგვარად  
ფეთქავს ძალაგამურთალი,  
თუმც ჯერ კიდევ მთლად არ არის  
სულში შუქი ჩამქრალი...  
ძველებური ნატვრა, ვნება  
გადაქარდა ყოველი,  
არაფერი მენატრება,  
არაფრის ვარ მდომელი;  
მოდუნებულ ცხოვრების რიტმს  
გვერდს მაინც ვერ ავაქცევ,  
თითქმის ყველაფერი დავთმე  
ყურადღებას არ ვაქცევ-  
ერთადერთი შემრჩა მხოლოდ -  
ის ყველაფერს გამიბრის -  
სილამაზის საჭვრეტელად  
თვალი მაინც გამირბის.

2010

ისევ ის ვარ, რაც ვიყავი, და ასეთი ვიქწები,  
მარად თან თუ მეახლენ ჩემი ძეველი ფიქრები,  
რა დაბინდავს იმ დღებს, იმ მღელვარე აისსა?  
თვალწინ მიღებას ღიმილი პანანინა ქალისა,  
როს ნანგრევი იმედთა უმოწყალოდ ინკოდა,  
მე იმ პატარა გოგომ ხელი გამომინოდა.

1969

### ნიგნის მტერია ორივ

ნიგნის მტერია ორივ –  
კომპიუტერი და მატლი...  
ახალი საუკუნეა,  
ნერტილი ახალ ათველის.  
ახალ დროებას ახლის  
შეგრძნება უნდა დიდი.  
დრო მოდის უნიგნურობის –  
ულმობელი და ფლიდი.  
თუ არ აუბი მხარი,  
თუ ვერ აპყევი სრულად,  
დარჩები შენს ძველ ბაქანზე  
არაფრადა და ნულად.  
მზაკვრულად იკვლევს გზა-კვალსა –  
ასეთი არის იგი –  
სურს, რომ უარყო ბოლომდე  
ნერა-ეითხვა და ნიგნი.

თუმც თავის გზა აქვს ყველაფერს,  
 ვერ გადაუხვევ ოდნავ,  
 არსის გაგებას დრო უნდა,  
 გამოყენებას-ცოდნა.  
 უნდა შეგეძლოს მიზნის და  
 დანიშნულების გარჩევა,  
 ბევრი რამ აღარ იქნება,  
 ნიგნი კი მაინც დარჩება.

2010

### ცელები მთვარე

(კოსმოური ზღაპარი)

სწრაფი ქარი სწრაფად ინვევს  
 ცაზე გაშლილ ქულულ ფარას,  
 მთვარე მაღლა, მაღლა ინვეს,  
 ღრუბელი რომ გადაფარავს...  
 დაუსხლტება იმათ მარდად,  
 თავს გამოჰყოფს უცებ გარეთ,  
 მერე თთქოს გადმოვარდა,  
 მიატოვა ზეცის არე.  
 აცეკვდება აშვებული,  
 უინიანად როკავს, დახტის,  
 აღარ უნდა არშვებული  
 დღეს დედოფლის ვერცხლის ტახტი,  
 აღარ უნდა თმენა მსგავსის –  
 ცაზე ხაზვა პარაბოლის,  
 დასაჭერად მოსდევს ასი  
 ნისლის ფრთა და ფარა ბოლოს.

დაედევნენ ფერიები  
 მნათობს მროვაეს თავაშვებით,  
 აფერადნენ პრერიები  
 უცხო ფერთა თამაშობით,  
 მთვარე დაწვდა უცებ ქვიშას,  
 მათ სახეში მიაყარა,  
 – გადავრჩიო, არაუშავრს! –  
 დედამინას მიახარა.

შემდეგ ზღვაზე დაეშვება,  
 სხივით ვარსკვლავთ ესვრის შხეფებს.  
 ო, სიცელქე და ეს შვება  
 სისხლს ძარღვებში ააჩქეფებს.  
 ნულიდან ფშვნეტით გამოხტება,  
 შეაჯდება ქედზე გორას,  
 დედამინა ჰირდაფჩენით  
 შესციცინებს მნათობს მგორავს.  
 მთვარე ტყეებს მოედება,  
 გააღვიძებს ხეთა რიგებს,  
 მერე ბუჩქებს მოედება,  
 ყველას სალამს დაურიგებს...  
 ხან მინდორში ინავარდებს,  
 ხან ქალაქი ხაზავს ქუჩებს,  
 ხან სოფელში ია-ვარდებს  
 დაყნოსავს და მიიყუჩებს.  
 უჩუმრად ეშვება ჭაში,  
 ემალება მდევარ ქარებს.  
 ამოძვრება გამალებით  
 და შეალებს ქოხის კარებს,

მიეხლება-მოეხლება  
 აქეთ-იქეთ გადარევით,  
 და როდესაც დაიღლება,  
 ამოჰყვება ბუხარს ზევით.  
 მერე ხეზე შემოჯდება,  
 უთვალთვალებს გამვლელს გზაზე,  
 და მეურმე გაოცებით  
 იყურება მაღლა ცაზე.  
 მთვარეს ეს რა ემართება?  
 შეაჯდება რქაზე ხარებს,  
 უცებ ხევში შევარდება,  
 იხითბითებს, იხარხარებს.  
 ფეხაკრეფით ეფარება  
 უზარმაზარ უღრან ტინებს,  
 იღლიებში ეპარება,  
 თანაც მნარედ უღიტინებს...  
 ახარხარდა რიხით იმ წამს,  
 ატყდა რხევა მთათა ჯარის,  
 არ უნახავს დედამიწას  
 ამნაირი ქცევა მთვარის.  
 მთვარე დაცხრა, დაშოშმინდა,  
 თითქოს ჯავრი გულს მოეშვა,  
 მერე ასე უდარდელად  
 სადღაც ბნელში გადაეშვა.

1962

რად დამეჩემა:

ასე მგონია, საუკუნემ გამასწრო ჩემმა,  
 მე კი კვლავ იქ ვარ, სადაც არის ჩემი ნარსული,  
 გარს მახვევია ყველაფერი დროგადასული,  
 დამვინწყებია ბედისწერა-ჩემი მდეველი...  
 ფერისცვალება, უამთასვლა თუ დრო ულმობელი...  
 და სინამდვილეს მოვუხუჭე თვალი მზირალი,  
 ასე მგონია, ყველაფერი მაინც ნინ არი!

ასე მგონია, საუკუნემ გამასწრო ჩემმა!

2004



## რა მინდა...

რა მინდა!

რა გინდა!

რა უნდა!

რა გვნდა...

დავდივარ... დავდივარ,

ხალხში ვარ თუ მარტო,

ვიღიმი...ვიცინი...

მაინც ვარ მნუხარე,

მით უფრო,

მით უფრო,

მით უფრო ვდარდობ!..

რას ველი?

რა მოვა!

რა უნდა ნავიდეს?

არ ვიცი, არ ვიცი

რა მსურს და რა მნადის...

ვსულდგმულობ ამ ქვეყნად რისთვის ან რა მიზნით?

ბოლო აღარ უჩანს ამ სურვილს, ამ ნადილს!..

ვისვენებ მძინარე თუ ზეცას გავყერებ,

თავისი თილისმთ გრძნობებს რომ აღმირევს,

ალბათ ერთ საღამოს მოწყდება ვარსკვლავი,

და ჩემ დასიცხულ სულსაც ნაიღებს.

რისთვის ვართ ამ ქვეყნად, თუ ნავალთ ყველანი

და ქარი დაფარავს ნაკვალევს პატარას?

არ ვიყო არც იქა,

არც დავრჩე ამ სოფლად...

ვიღას მივენდო?... ღმერთსა თუ სატანას?  
 მე რომ შემეძლოს, ყველაფერს დავანგრევ,  
 დავლენავ, რაც ამ მკაცრ ეპოქის ააგო გონებამ,  
 ოღონდ ის ვიცოდე, რა უნდა ვაქეთო,  
 ოღონდ არ მბოჭავდეს ბრძან აზრთა მონება...  
 უფსერულში ჩავძერები, ქვესკნელეთს შევარყო  
 და მთელ მსოფლიოს გადავწვავ აალით...  
 ცეცხლი თუ არ მეყო, ზევს დავესესხები  
 ან პრომეთესავით მოვტაცებ ძალით.  
 ავანთებ კოცონად ათასგვარ იმედებს,  
 გზად ქარებს გავუშვებ, რისხვით რომ ალპგვიდა  
 ყველაფერს, ყველაფერს...  
 ოღონდაც ვიცოდე,  
 რა მინდა!  
 რა გინდა!  
 რა უნდა!  
 რა გვინდა!

1962

## ვიღაც იცინის, ვიღაცა მირის

ვიღაც იცინის, ვიღაცა ტირის,  
 ვიღაც დარდობს და ვიღაც მშვიდია,  
 ვიღაცას ცეცხლი ედება გულზე,  
 ვიღაცას ყველა ფეხზე ჰეიდია.  
 ვიღაცა დუმს და ვიღაცა ყბედობს,  
 ვიღაც შრომობს და ვიღაც მუქთია,  
 ვიღაც ფულებში ჩაძირულია.  
 ვიღაცას გროშიც არ აბადია.

ვიღაცას ტანჯავს თავის სინდისი,  
 სხვას ეს არაფრად არ მიაჩინია,  
 ვიღაცას ბედი სწყალობს გულუნევად,  
 ვიღაცას სულაც არ გააჩინია.  
 ვიღაცას აღრჩიობს ბოლმა და შერი,  
 ვიღაცა მარად თესავს სიკეთეს,  
 ვიღაცა მუდამ ჩადის სიავეს  
 და კარიერას ამ გზით იკეთებს.  
 უდანაშავლო ვიღაცა ზის და  
 საკანში მნარე ცრემლები დახდის,  
 ვიღაცა დიდი ბოროტმოქმედი  
 დაურიდებლად ქუჩაში დადის,  
 ვიღაცა მავნე სიავით ხარობს,  
 ვიღაცა ებრძვის გარეწარს მკაცრად;  
 სათნოებას და უმანეოებას  
 ბილნი მიიჩინევს ნარსულის ნაცრად.  
 ვიღაცა თავის ნიჭაც ვერ ავლენს.  
 ვიღაც უნიჭო მნვერვალებს აღნევს...  
 ასეთი არის წუთისოფელი,  
 რომელსაც კისრად ეს ცოდვა ანევს.  
 ვით დავიჯერო, რომ ეს ქვეყანა  
 გონიერების არის ნაყოფი,  
 როცა სიკეთე ასე მცირეა,  
 მხოლოდ სიკვდილი არის სამყოფი.

2012

\* \* \*



არც არაფერს ველი იქეთ...

თუმც აქეთ რა მქონია?

ბევრი რამე თავად ვცანი,

ბევრიც გამიგონია.

იქაც არაფერი არის,

ეს ცხოვრებაც წამია,

ათასგვარი მითქმა-მოთქმა

ველარ ამიტანია.

რა ყოფილა, რა ვყოფილვართ,

ვინ გეტყვის? ან რად გვინდა?

სანამდეც ხარ, იყავ კაცი

გულმართალი და წმინდა!

2009

### „ვეზებისტყაოსნის“ ყოველი ნაკითხვისას

ვინა ხარ?.. ადამიანი?.. მოკვდავი, სისხლის ძარღვებით?  
 სიდან მოსულხარ, სად იყავ ან ასე საით წახვედი?..  
 ვერ დაგიტირა ქვეყანამ, ვერ დაგიფინა თალხები?..  
 მაცხოვარივით განამეს, თუ ჯვარზე ნებით ახვედი?

1978



ბრძენის ნათქვამი ინამე,  
 გამოიყენე თარგად  
 „სხვა ვინმე რომ შეაფასო,  
 თავი შეიცან კარგად“

2000

\*\*\*

რაც მინდოდა ის რომ არ ვთქვი,  
 მერე მნარედ ვინანე.  
 რაც რომ უნდა მეთქვა, რომ ვთქვი –  
 ვინანე და ვინანე!  
 ვერ ვიტანდი სიტყვას მლიქვნურს,  
 გაქნილსა და განაფერს,  
 მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის  
 ნათქვამის აზრს, განა ფერს...  
 ამიტომაც ვერ ვენიე  
 ცხოვრებაში ვერაფერს.

2010

\*\*\*

გულს ნუ გაიტებ, თუკი  
 სულში კვლავ ცეცხლი ბოლავს!  
 ათასი მტერი გერჩიოს  
 სულელ მეგობრის ყოლას!

1996

\* \* \*

ზოგი იარაღით ხელში არჩევს სიკვდილს...

ზოგს ზღვა ხიბლავს, ზოგს ცა... დრო კი მიგვდის,  
 მიგვდის...

ჩემი იარაღი კალამია ბასრი,

მასში არის ჩემთვის ამ ცხოვრების აზრი.

2011

\* \* \*

და ეს ქვეყანა ჩვენი რაც კია,

ქალი-ქალია, კაცი-კაცია.

არ შეიცვლება მგონი ან კია,

ასე იყო და ახლაც ასეა:

სულ ერთი არის, ვის რა აცვია,

ქალი-ქალია, კაცი-კაცია.

2011

## ჩამი ეპიტაფია

უნდოდა ამ ცხოვრებაში

თავის სიტყვა ეთქვა,

მაგრამ მისდა მოსაგონრად

დარჩა მხოლოდ ეს ქვა,

ბევრი რამის თქმა შეეძლო –

ვერაფერი ვერ თქვა.

2010

## არასოდეს მინატრია უკვდავება (მუსიკა)

არასოდეს მინატრია უკვდავება,  
არცა ვმდგარვარ მე დიდების კართან,  
არაფერი მწამებია ქვეყანაზე,  
მარადიულ სიყვარულის გარდა.

არაფერი არ მქონია საოცნებოდ,  
არაფერი ჩამყოლოა დარდად,  
არაფერზე მიფიქრია არასოდეს,  
მარადიულ სიყვარულის გარდა.

ბევრი მყავდა მეგობარი სათაყვანო,  
მაგრამ ამით მე არავინ მგავდა:  
არაფერი, არაფერი მდომებია,  
მარადიულ სიყვარულის გარდა.

2004





მარტოდ ყოფნა ამ დროისთვის  
აღარ არის ადვილი.  
არ მსურს მე ეს თავგაწნირვა,  
მოვლა, ჯაფა, პატივი...  
დამიჯერე, დავიღალე –  
ფიქრი, დარდი, წუხილი...  
კოშმარული ღამე იყო,  
არ მეძინა წუხელის.  
მე არ ვიცი, რა მანამებს,  
რა მჭირს, რისთვის ვირევი.  
მაგრამ ასე რომ გაგრძელდეს,  
ალბათ გადავირევი.  
ვერ ვიტან, ჩემს ცხოვრებაში  
როცა სხვები ხელს ჰყოფენ.  
ახლა ვხვდები, ასე ცივად  
სიცოცხლეს რად ხელჰყოფენ.  
ძვირფას ნივთს რომ სასოებით  
მკერდში გრძნობით იკრავენ...  
მესმის, მესმის ძლიერ კარგად,  
თავს როგორაც იკლავენ.  
ძლიერ კარგად შევიცანი,  
უკვე ძორეთს რომ მივალ –  
ჩვენ თუ ერთად კი ვიქწებით,  
არაფერი მოგვივა.

2011

– ჩემდამი თუ ამნაირი გრძნობა გქონდა,  
 მითხარ, ქალავ, ასე რატომ დამალე?  
 გავიგებდი იქნებ მე შემს გულის ზრახვებს,  
 გადავწყვეტდი გაბედულად და მალე.  
 – ვაუავ, მე ხომ ჩუმი ვიყავ და უთქმელი,  
 შენ არ მითხარ, მეც ვერ გითხარ სანადელი.  
 ვინ გაიგებს სიყვარულის გამოცანას,  
 არასოდეს იქ არ ჩნდება, სადაც ელი.  
 – იქნებ ისევ ალორძინდეს ძველი გრძნობა,  
 ჩვენს დანენილ სულს თუ კი მოუნდება? –  
 – არ მგონია! სიყვარული როცა მიღის,  
 მერე უკან აღარასდროს ბრუნდება.

2011

### მოგონებამ ყველაფერი დაბილი

ნუ მაძალებ, მე აქ ყოფნა არ მინდა,  
 ვერ მომხიბლა ვერც ნვიმამ, ვერც ამინდმა.  
 ვერ ვიგუებ მე ამ ყოფას დიდებულს,  
 ვერაფრით ვერ გამიმრთელებს ნაგვემ გულს...  
 მახსენდება ყველაფერი რაც იყო,  
 ჩვენი გზები უთქმელად რომ გაიყო.  
 ეს ფიქრები მძიმე გრძნობებს ამიშლის,  
 გევედრები, ნასვლას ნულარ დამიშლი!  
 მოგონებამ ყველაფერი დაბინდა,  
 ამგვარი რამ, ჩემო კარგო, რად გვინდა?

2010

სულ მახსოვეს, სადაც ვყოფილეართ,  
ის უბნები და არენი,  
რამდენჯერ შევხვდით ერთმანეთს,  
რამდენჯერ გავეყარენით,  
რამდენი ცრემლი ვღვარეთ და  
რამდენჯერ გავიხარენით...

რამდენი ლექსი წარმოვთქვით,  
სიმღერებს ხმები ვაყოლეთ,  
რამდენი ფიქრი დავწევით და  
ოცნებაც გადავაყოლეთ,  
რამდენი რამ გადავწევიტეთ,  
შესრულება კი ვაყოვნეთ.

ისეთი მაინც რა მოხდა,  
მითქმა-მოთქმა რომ ავტენტ?..  
დღეს სინანულმა შეგვიპყრო,  
როს წარსულს თვალით გაფხედეთ...  
ფიცმეკრულები ვიყავით,  
სიტყვა კი მაინც გავტეხეთ.

2010

გვიათ გვიათები

დაიგვიანა ამ გაზფხულმა,  
გულში კი დნება ძველი ზაფხული...  
ჩაყვითლებული მდუმარე სევდა,  
გადამჭენარი და გადაზაფრული.

გადაკარგული დღეთა ხსენება,  
 ოცნება ძველი თუ ახლანდელი,  
 მბუუტავი კვალი ჩამავალ მზეთა  
 ვით მივიწყებულ საყდრის კანდელი.  
 შემიპყრობს ჩემი მკაცრი დემონი,  
 საით მეწევა გზაარეული?  
 დავდივარ როგორც უკვალო ელდა  
 მიუსაფარი და მთვარეული,  
 შენ მომევლინე როგორც სინათლე,  
 გიცქერ და თვალებს ვეღარ ვუჯერი –  
 მოხვედი როგორც ნისლის მანდილი,  
 სულში ეი ელვად შემოიჭერი.  
 და როცა ცქერა შეგიპყრობს ჩემი  
 არა შმაგური, არა ვნებური,  
 გაგიპობს ბაგეს მორცხვი ღიმლი,  
 ჩვეულებრივი და უნებური...  
 მე მაშინ ვფიქრობ, ეჭვების ტალღა –  
 ჩემი ნამება ყოველდღიური –  
 ჩვენი შეხვედრა ეს არის ნამი,  
 თუ ნეტარება მარადიული.  
 და თუ ალსრულდა, და გაზაფხულიც  
 მოვიდა გვიან, თუმც სევდაც ახლავს,  
 არ გავიხსენებ მაშინ იმ წარსულს,  
 ვით მივიწყებულ ვიღაცის საფლავს,  
 და დავემხობი როგორც მლოცველი,  
 არად მივიჩნევ, რაც ეი ვენამე,  
 და ჩემს სამყაროს საწყის-სათავედ,  
 როგორც ხაჭს, მხოლოდ შენ ერთს გინამებ!

1968

შენ იყავ ზეცა, შენ იყავ დარი,  
 შენ იყავ სხივი, ედემის ნერგი,  
 ვის სიდიადეს არ ჰქონდა ზღვარი,  
 შენ იყავ სულთქმა, შენ იყავ ღმერთი!  
 შენ იყავ სისხლის დუღილი მწველი,  
 შენ იყავ წყარო, ნამი ციური,  
 შენ იყავ მწვანედ გაძლილი ველი  
 და პარმონია ფანტაზიური!..  
 შენ იყავ, ვინაც ყველა ცდომილი  
 მარადიული კრთომით დაძარი,  
 შენ იყავ რაღაც შეუცნობელი,  
 შეუღწეველი წმინდა ტაძარი!  
 შენი სითბოთი მზე მხურვალებდა  
 და კამკამებდა ცის კაბადონი,  
 ნაზი ბურუსის მანდილს აფენდა  
 ბულბულის სტვენა და იადონის...  
 და გაქრა, გაქრა როგორც ზმანება  
 ციურ ხატების ძეველი იერი...  
 და დამრჩი სულში როგორც წამება  
 ჩვეულებრივი და მინიერი.  
 და დარჩა მხოლოდ მიმოცვენილი  
 უტყვი ნანგრევი ღვთიურ ტაძარის,  
 და სამუდამოდ შემორჩენილი  
 დამწვარ გრძნობათა ფერფლი ნაცარის.

## როცა მოვა ზაფხული

როცა მოვა ზაფხული, სიცხით გადაზაფრული  
 მიაშურებ აგარაკს, სხვა რა მოგაგონდება...

ნახვალ, მაგრამ როცა იქ მე არ მომელოდები,  
 მარტოობას იყრძმობ და გული დაგილონდება!..

გული დაგილონდება,

ღამე ივლის წვალებით,

ღამე ივლის წვალებით, და მთვლემარე სევდები

ლოყას ცრემლით დაფარავს, სახეს-ცეცხლის მონთება,  
 რაკი გაგახსენდება, ვერასდროს ვერ შეგხვდები.

უცნაური გოდებით პანაწინა ოდები,

ბუჩქნარი თუ ტყე-ველი სევდით შეიძურება...

აივანზე მჯდომარეს ულიმლამო თვალებით,

მოგბეზრდება მდუმარედ შორი გზისკენ ყურება.

მე არ მოვალ!

დასრულდა ნეტარების წამები.

ნეტარების ნამების დამრჩა მოგონებანი,

შენი ბაგის სითბო და დანაცრული ოცნება,

ამღვრეული გული და ანენილი ვნებანი.

1965



გული კვლავ შფოთავს, ისევ მქუჩარებს,  
ისევ ის ძველი დარდი მენვია.  
მეგონა მოვრჩი სევდას ულმობელს  
და ხედავ, რა დროს ნამომენია?!  
თითქოს დაირღვა დროთა კავშირი,  
უკვე ჩავლილი არის ყოველი,  
ნამიც კი დარჩია ახლა საშური,  
მოსათუთარი და სათხოვნელი.  
თითქოს მეწყერი დაქანდა ზავთით,  
გრძნობა დაიძრა, აზვავდა ფიქრი,  
და ამიტაცა ქარმა მსუბუქად,  
როგორც ფოთოლი პანია ფითრის.  
შენი ნაპირი ძლიერ შორია –  
მთები ფიქალი, მიუდგომელი.  
რას ვიზამ, ალბათ დავიღუპები  
შენი ბალნარის ხილვის მდომელი.  
და თუკი შენ მე ხელს გამომიწვდი, –  
შველა მჭირდება უდავოდ მყისი.  
თუმც ეს იქნება „გედის სიმღერა“  
და არა დიდი გზის დასაწყისი.

2002



მიდიოდა ულმობელი დრო...  
გაიყო გზა...  
არ ვიცოდი რა მეღონა,  
ან რა მეტქვა, რა...  
გადიოდა უსასრულო,  
ჩემთვის მოკლე დრო.  
ის სათქმელი გულმა მაშინ  
რატომ გადადო!

მიდიოდა ულმობელი დრო...  
გაიყო გზა...  
მსურდა რამე მეთქვა შენზე,  
ერთი-ორი სხვაც.  
იმდენის თქმას ვაპირებდი,  
თუ ვიცოდი რაც,  
ერთიანად მიმოვთანხმე,  
ვერ დავძარი ხმაც...

ახლა გნახე –  
მოდიოდი...  
გადავწყვიტე თქმა.  
მაგრამ შენთან ერთად ვიღაც  
მოდიოდა სხვაც.  
მოდიოდა... მოდიოდი...  
ერთი გქონდათ გზა.  
აბა, ანი რა ვიღონო,  
ან რა გითხრა, რა?

1962

\*\*\*

როგორ უცებ დამეკარგე, თვალიც კი ვერ მოგვაწონ,  
გული ჩემი გითავაზე, შენ კი ხელი მიკარი.  
რამდენჯერაც დაგიძახე-პასუხი არ გამეცი,  
მე ლილილოდ მოგევლინე, შენ კი მეხად დამეცი.  
დამიჯერე, დავიღალე, ჩაქრა ჩემი სანთელი,  
ნუღარ ეძებ ჩემში გრძნობას, შენგან ასე გათელილს.  
აღარ ლვივის ჩემში ძელი ცეცხლოვანი ვნებანი,  
დარჩა მხოლოდ სულში მისი მნარე მოგონებანი.

1967

\*\*\*

მაგ გულმა, კარგო,  
რაც უნდოდა, ის ვერ მონახა...  
ვიცი, სხვასთან ხარ,  
მაგრამ მაინც ჩემი მონა ხარ.

ვიცი არ მოგწონს  
სადაცა ხარ შენ ის ხედები,  
თუკი სხვასთან ხარ,  
ისევ ჩემსკენ რად იხედები?

თუ არ გსურს გნახო,  
რად გამიღე გულის კარები?  
შენ სულ სხვა გზა გაქვს,  
მაგრამ ჩემ გზით დაირები.

მაგ გულმა, კარგო,  
რაც უნდოდა ის ვერ მონახა...  
ისევ სხვასთან ხარ,  
მაგრამ მაინც ჩემი მონა ხარ.

2010

გადაიტანა გულშა მოღობა  
 და დავრჩი ისევ ძველი ფერებით.  
 მოუქსოვია თითქოს მობას  
 ნარსულთ ფიქრები, ალმაცერები.  
 სადღაც დავტოვე მე ის ნუგეში,  
 იგი ოცნებაც გაჰყვა ნიავებს  
 და სადღაც ალბათ სიმსუბუქეში  
 ან სული მშვიდად იბორიალებს.

სულის სიმშვიდე! – დედა სიამის  
 და ნეტარების მთელი სამყარო!..  
 მონატრული ვარ მე მხოლოდ ამის,  
 და სხვა დიდება თუნდ სულ ამყარო,  
 არად მივიჩნევ, არ ღირს არაფრად  
 კაცობრიობის მთელი ფიქრები,  
 არ ღირს სიცოცხლე გულის საზაფრად –  
 „დღეს რა ვყოფილეარ, – ხეალ რა ვიქნები!“  
 რად ღირს მსოფლიოს ყველა დიდება  
 თუ ამ ქვეყანას ცეცხლად მოენთე,  
 ვით მეფისტოფლის გადაჟიდება  
 და დალვრემილი გმირი გოეთეს...  
 ნანატრი წუთი, შემდგარი ნამით  
 და ამვებული სული ნეტარი!..  
 ეს არის ჩემი ოცნება ღამით,  
 ჩემი სიცოცხლე სწორედ ეს არი!  
 სულის სიმშვიდე – დედა სიამის,  
 და ნეტარების მთელი სამყარო!  
 მაღირსოს ღმერთმა მე ხილვა ამის  
 და მერე თუნდაც მინად დამყაროს!

1961

მე ვიყავ სეტყვა, შენ იყავ დარი,  
 მე ვიყავ ღამე, შენ იყავ დღე,  
 მე ვიყავ შავი ლრუბლების ჯარი,  
 შენ იყავ მწველი ზაფხულის მზე.

მე ვიყავ სუსხი, შენ – სითბო ნაზი,  
 მე ვიყავ ტანჯვა, შენ იყავ შვება,  
 მე თიხის ჯამი, შენ კი – ემპაზი,  
 შენში სხივი კრთის, ჩემში კი ქრება.

მე ვიყავ სიპი გაუტეხელი,  
 შენ იყავ თაფლის სანთელი ლბილი,  
 მე ვიყავი ავი, შმაგი და ხელი,  
 შენ კი – ენამზე და ენატკბილი.

ვით იქნებოდა ჩვენი ერთობა?  
 ვით ემეგობრა ცეცხლსა და წყალს?  
 და მგონი ამ დროს უფრო ეთმობა  
 სიკეთეს, ვიდრე ქვესენელის ალს.

2012

### კვლავ რატომდა მომევლინე

კვლავ რატომდა მომევლინე,  
 გამახსენე წარსული,  
 ის ხომ იყო ჩვენი გზების  
 გაყოფა და სასრული.

გამახსენე მზის სხივები,  
 ზღვა მშვიდი თუ მქუჩარე,  
 ერთად ყოფნა-სანეტარო,  
 დაშორება-მწუხარე.  
 მაისია, მომერიდე,  
 გარს მეხვევა ლანდები...  
 თავს თუ აღარ გამანებებ,  
 ისევ შემიყვარდები.

2011

## გილია ხელიალი

მოვიარეთ თბილისის ჩათვლემილი ქუჩები,  
 მაინც ველარ მშორდები, ისევ მელაქუცები.  
 გათენებას აპირებს, ვეგებებით ალიონს,  
 შენ გინდა, რომ ვნებებმა ისევ ამიყოლიოს?  
 იკეცება გზადაგზა გათელილი კვალები,  
 ნეტავ რად არ მშორდები, ნეტავ რას მევალები?  
 თან დუდუნებ უნყვეტად, სიტყვას აზრსაც არ აქსოვ:  
 „არაფერი არ მინდა, არაფერსაც არა გთხოვ.“  
 თვალებს ძილი ვერ აკრთობს, ბაგეს ცეცხლი ედება,  
 გეჩვენება ქვეყანა გამოუცნობ ედემად...  
 და განვალებს რაღაცა, გაგონდება ისევ ის...  
 ქალწულური ალები, გრძნობა გამაისების.  
 ღამეს დილა ეხვევა, ჩვენ დავდივართ ისევე,  
 დაღალული თვალები სევდას შემოისევენ.  
 იკეცება გზადაგზა გათელილი კვალები,  
 ნეტავ რად არ მშორდები, ნეტავ რას მევალები.

1965

\*\*\*

არ ვიცი, შენში უფრო მეტია  
 ქალი თუ ბავშვი ჯიუტი ტუჩით,  
 გულში ვერაფრით ვერ დაეტია  
 ეს სიყვარული ასეთი ურჩი.  
 ვერ დავიოკე აუტანელი  
 ლტოლვა შენდამი, ჩუმი სურვილი -  
 ვყოფილიყავი გადამტანელი  
 მაგ შენ ბავეთა ავი წყურვილის.  
 აჲა, მორჩილ ვარ ბედს უმაღური,  
 გსურს გამარჯვებაც შენი ვინამო?  
 დე, ეგრე იყოს-გამანადგურე,  
 შენ ინეტარე, მე კი-ვენამო!

1964



სიყვარული რომ დავკარგე,  
 სულძი ჩამრჩა ლოდად.  
 ნუთუ სამუდამოდ გაქრა,  
 მეტად აღარ მოვა?  
 ნუთუ უნდა დავივინყო,  
 თუ დავუწყებ ლოდინს?  
 სიყვარული ნუთუ მართლა  
 „მხოლოდ ერთხელ მოდის?“  
 მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთხელ! –  
 მომძახიან ხმები,  
 უცნაური გაავებით,  
 უინითა და ვნებით.  
 რა ვქნა? თუეი ასე არის –  
 თუმც არ ვიცით როდის...  
 სიკედილიც ხომ ცხოვრებაში  
 მხოლოდ ერთხელ მოდის!

2011



## ჰავვის ღიმილი

(ცუძლვნი პატარებს)

რა კარგია გაღიმება  
 პანაწინა ბავშვის,  
 რაგინდ ბოლმით იყო **სავსე**,  
 აგილებს და დაგშლის.  
 რაგინდ რისხვით **ალგზნებული**  
 გულში ცეცხლი ინთოს,  
 გაგილიმებს-არაფერიც  
 არ ყოფილა თითქოს.  
 გულს გინვავდეს მოგონება,  
 უპეს ცრემლის ნამი.  
 სუყველაფერს აბათილებს  
 ეს ღიმილის ნამი.  
 რაგინდ თვალებს **გიბნელებდეს**  
 საიქიო მქისი,  
 მოგაბრუნებს **სიცოცხლისკენ**  
 გაღიმება მისი.

1979



რას მიყურებს მე ეს პიჭი?  
 მომაჩიერდა ძალიან.  
 გამანებოს ნეტავ თავი,  
 მისთვის სადა მცალია?  
 სადაც მივაღ, ვით ნიავი  
 თან მომყვება მაღულად.  
 ფეხს ვაჩქარებ-ისიც მომდევს,  
 გამიმართა მარულა.

შინ ვიყავი ... თითქოს ვიგრძენ  
 მისი სუნთქვა, – ამის წინ...  
 გავიხედე ფანჯრიდან და –  
 ხესავით დგას სახლის წინ.  
 ერთმანეთს თუ შევაფეთეთ,  
 მოწყვეტილი ჩერდება,  
 გვერდს ჩავუვლი-სასოებით,  
 საწყლად მომაჩიერდება.

ვერ მივმხდარვარ, სულ რად დამდევს,  
 ან რა უნდა? მეც კიდე,  
 ვერ ვახერხებ, ვეთხო: „პიჭი  
 რატომ გადამეეიდე?“  
 ძლიერ უნდა გავუჯავრდე,  
 სულ თავს რომ არ გავიდეს!  
 მაგრამ ისიც რომ არ მინდა,  
 სამუდამოდ წავიდეს?

2009

თიკოს, მგონი, მონონს გელა,  
 ნინიკოს კი ალეკო.  
 ნინო-გიგას, გიგა-მაკას,  
 ალიკოს კი – თალიკო.  
 ნინი არჩევს თავის საქმეს  
 გელასა თუ ნიკასთან,  
 დაჩის, მგონი, ძალზე მონონს  
 ლაშასი თუ გუკას და.  
 თალიკო ულიმის ქოქის,  
 კოკი უმზერს თინიკოს.  
 ვერ გავიგე-ზუკას ტოლი  
 ვინ არის ან ვინ იყო.  
 ვერაფრით ვერ გავარევოე –  
 ხომ არა ვარ მისანი?  
 ვის ვინ მოსწონს, ვის მეგობრობს,  
 ველარ გამოვიცანი.  
 სულ ამაზე ვფიქრობ მუდამ,  
 დარია თუ ავდარი.  
 ალარ ვიცი, რა ვიღონ,  
 ამერია დავთარი.  
 მე ვინ მომწონს? განა ვიცი?..  
 რა ნესი და რიგია?  
 სხვის საქმეებს ვეძიებ და  
 ჩემი ვერ გამიგია?

2009

რაც არ უნდა დაგავალოს,  
 გაიძახი: „მაცალე!“.  
 რად იქცევი, გოგო, ასე,  
 ბებოს რატომ ანვალებ?  
 რამდენჯერაც გემუდარა:  
 „მომიძებნე სათვალე!“  
 უკმეხად შემოსძახებდი:  
 „არ მცალია, მაცალე!“  
 ამის წინ რომ ცუდად იყო,  
 და შენ სურა დაცალე,  
 გთხოვა: „წყალი მომიტაო,“  
 უპასუხე: „მაცალე!“ –  
 „წიგნს მოკიდო იქნებ ხელი“ –  
 ბებო კითხვას გაძალებს,  
 შენ კი ურცხვად გაიძახი:  
 „მაცალე“ და „მაცალე!“  
 მაინც, როგორ არ გრცხვენია,  
 გოგონა ხარ ამხელა?  
 გაგიგებენ და „მაცალე“  
 შეგერქმევა სახელად.  
 ბებო მუდამ ამას ამბობს:  
 „მაგას კი ვენაცვალე!  
 ოღონდაც კი დაიშალოს  
 ეს წყეული „მაცალე!“

2010

თოჯინებო, არ გენუინოთ –  
ჩემო თიკო, ჩემო მაშო,  
თუ დღეიდან ძველებურად  
ისევ ვეღარ გეთამაშოთ.  
სად მეცლება, შემოგველეთ,  
რომ დავიწყებ ადრე დილთ,  
ძლივს მოვასწრებ, დავამზადო,  
იმდენი მაქვს გაკვეთილი.  
დედასაც ხომ უნდა შველა? –  
საოჯახო საქმეც მელის,  
წიგნებიც მაქვს წასაკითხი –  
უამრავი, ათასფერი.  
ძლიერ მომწონს ჩემი სკოლა,  
სხვა რა არის მისი ფასი?  
შემიყვარდნენ მეგობრები,  
ჩემი მერხი, ჩემი კლასი.  
რიდით შევცქერ ჩემს აღმზრდელებს,  
სხვაგვარად ვინ გაუბედავს?  
ჩვენზე მზრუნველ მასწავლებელს  
მე მივიჩნევ როგორც დედას.  
შევისწავლი დედა ენას,  
თავს გამოცდი ყოველ დილით,  
სანიმუშო მინდა ვიყო,  
თავმდაბალი, წრფელი, ზრდილი.  
სწავლა მხოლოდ ფრიადებზე! –  
გაგახარებთ ამით ვიცი.  
და ეს არის ჩემი სიტყვა,  
სათქმელი და ჩემი ფიცი.

დღეს სკოლაში მეც მოვედი,  
სანახავად კი არა –  
როგორც შარშან, ჩვენმა ბალმა  
აქ რომ შემოიარა.  
ახლა სკოლის მოსწავლე ვარ,  
ზურგზე ჩანთა მკიდია.  
გახსოვთ, როგორ დამცინოდით:  
„შენთვის ძალზე დიდია!  
აბა, როგორ უნდა ზიდო?“ –  
თითქოს ლოდად ქცეულა,  
ფრთაშესხმული გამოვრბოდი,  
მაგრამ არ წავქცეულვარ.  
თანაც რა არ მიდევს შიგა:  
ნიგნია თუ ფანქარი,  
რვეულები, სახაზავი –  
ყველაფერი აქ არი...  
პანიას რომ მეძახოდით,  
ის დრო უკვე გავიდა,  
მოსწავლე ვარ, გაგახარებთ  
ნარჩინებულ სნავლთა.

1978

ნეიმა მოდის შხაპუნა...  
მარიამს და ხათუნას  
ჩაუცვიათ ბოტები, —  
გუბის გადაბოტებით, —  
თმები დაგვეხვევაო,  
ქუდებსაც კი იხდიან, —  
სიცილით და კიუნით  
მირბიან და მიხტიან.

2007

ପ୍ରକାଶିତ ଦିନ: ୧୫-୧୮-୨୦୨୩

ბარბი, ბარბი, ბარბი!  
ასე საით გარბი?  
შემომხედა ბარბიმ,  
აინკიპა წარბი:  
— ასე საით გავრბი?  
არ ყოფილა კარგი,  
როცა სათამაშობში  
ხარ ზედმეტი ბარგი.

ვიყავ მორთულ-მოკაზმული,  
ფარჩა-ფურჩქნა კაბით,  
მშვენიერი ყელსაბამით,  
გაშლილ თმებზე ნკაპით,  
მაღალყელა ფეხსაცმელით,  
ნელზე ლაქის ქამრით.

გაიხარა გოგონამ,  
 ვისაც მიმცეს ხელში,  
 მაგრამ შემდეგ ჩამაგდო  
 სავალალო დღეში.  
 პირველ ხანს კი მეფერა,  
 მუდამ გვერდით ვყავდი,  
 მზეთუნახავ ქალბატონს  
 და პრინცესას ვგავდი.  
 ცოტა ხანში რატომდაც  
 გახდა რალაც უხეში,  
 გამაშიშვლა მთლიანად  
 და მიმაგდო კუთხეში.  
 გამჩეჩა და გამთხუპნა,  
 ახლა ისიც მოუნდა,  
 ნაწილ-ნაწილ დამშალოს,  
 სულ რომ მომსპოს ის უნდა!  
 იმიტომაც გავრბივარ  
 გაძარცული, შიშველი,  
 იქნებ ვინმე ვიპივო,  
 ვინც როგორმე მიშველის.

2008 წ. 8 მარტი

ხვალ ბარბის დაბადების დღეა, 50 წელი უსრულდება.



## თავგასული პიში



ბიჭო, ამას რას ჩადი,  
თავი მოგძულებია? –  
გაავავრე დედიკო,  
გააგიჟე ბებია.  
არ იჯერებ არაფერს,  
გაამწარე ორივე,  
გული შეუწუხე და  
თავგზა სულ აურიე.  
სად წაილე წინდები?  
სად დამალე ბაჩები?  
აიღებენ შენზე ხელს,  
მოუვლელი დარჩები.

2009

## გაუგონარი პიში

ვიცი, აურ-ზაური  
არ თავდება ამითა,  
იმდენი იწრიალა,  
ჩამოვარდა სკამიდან.  
ხან თავს იტებს, ხან ფეხებს,  
ტირის, თავსაც გვაპრალებს –  
თვითონ დამნაშავეა,  
მაგრამ სულ სხვას აბრალებს.

2008

მე ძალლონით ვერ მაჯობებს  
რემბო, სპაიდერმენი.  
გულოვანი მებრძოლი ვარ,  
მამაცი და ძლიერი.

ლომს ვეძგერე, ვძლიე მარდად,  
დავაგლივე ფაფარი,  
არ დავინდე ჭრელი ვეფხვი,  
არც დათვი, არც აფთარი

სამთავიან დევს გადაეწვდი,  
დავაწყვიტე თავები,  
რობოტები დავამსხვრიე –  
ბოროტი და ავები.

სპილოსაც კი მოვერიე,  
მოვატეხე კისერი,  
დრაკონები დავამარცხე,  
მე არც კი დავიჭერი.

დედაჩემი გამიჯავრდა –  
რას აკეთებ ამასო?!  
მართლაც, დავლენე რაც მქონდა,  
ანი რით ვითამაშო?

2012

თუ გინდა რომ ბავშვი **იყო**  
მართლაც სანაქებო,  
დაუკერე დედას,  
დაუკერე ბებოს!

უინც არა ჭამს ფაფას,  
ლუკმას არა ყლაპავს,  
არ გამოვა მაგარი,  
სპორტსმენების მაგვარი.

ნუ ზოზინობ, ნუ ხვნეში,  
ნუ დაკარგე ხალისი.  
დღეს რაც უნდა აკეთო,  
ნუ გადადებ ხვალისთვის.

2008



ყიყილიყო მამალო,  
 ზვერავ ღობის ნაპირებს...  
 შენ, ეტყობა, ბოსტანში  
 გადაფრენას აპირებ.  
 ჩამოშორდი ახლავე,  
 შორს მოუსვი აქედან,  
 თორემ ეგ საქციელი  
 არ დაგრჩება საქებრად.  
 მურამ ეგ თუ შეგიტყო,  
 ამდენს კი არ დაგაცლის –  
 მაგ შენს ლამაზ ბოლო – კუდს  
 ერთიანად გაგაცლის.

2006

### ჩვენი ძაღლი ბათურა

ლეკვი რომ მომცეს, მას მაშინ  
 ჯერ არ დაზრდოდა თათები,  
 უყვარდა ხტომა-თამაში,  
 აიკლო თხა და ქათმები.  
 ახლა დიდია ბათურა –  
 თეთრი ნაგაზი ქართული,  
 მოკლეტუჩას და დიდყურას  
 ყველა ჰყავს გადაზფარული.  
 ვერავინ ვერ ეკარება,  
 თუმც სულ არ არის ავი.

წევს ჩვენი ეზოს ჭიშკართან,  
 თათებზე უდევს თავი.  
 მხოლოდ მაშინ ჰყეფს მრისხანედ,  
 როცა დადგება ღამე,  
 ან როცა ვინმე იმხანად  
 მას დაუშავებს რამეს.  
 სუსველა მადლიერია,  
 ამაყად დადის ბათურა –  
 ჩვენს სოფელს ვერ ეკარება  
 ვეღარც მგელი და ვერც ტურა.

2012

## ირმის ჩივილი

ირემმა თქვა: – სხვა ვინაა  
 ბედით ჩემისთანა:  
 ზურგში თოფი დამახალეს,  
 მკერდში დამცეს დანა,  
 გადამკიდეს ცხენის ქეჩოს,  
 ნამიყვანეს თანა,  
 გამატყავეს, ცეცხლზე შემნვეს,  
 ყველამ მიწყო ჭამა.  
 „რა ლამაზი რამ იყომ,“  
 იძახოდნენ თანაც.

1976

- ბაბუ, ბაბუ, გენაცვალე, ერთი მითხარ მალე:  
რა არის „გუშინ“ და რა არის „ხვალე“?
  - გახსოვს ბავშვებს ეთამაშე ბალის შუაგულში,  
რომ დალამდა და დედიკომ ჩაგიხუტა გულში?  
დაგანვინა, დაგაძინა...  
ე, ის იყო „გუშინ“

მერე როცა გათენდება, წყნარად ჩავა მთვარე,  
დილით, როცა მზესთან ერთად შენც დააჭყოტ  
თვალება,

ნამოხტები, ტანთ ჩაიცვამ,  
ყველას გაახარებ...  
ის იქნება, ჩემო კარგო,  
რასაც ჰქვიდა „ხვალე“.

2009



### „სულიპოს“ პარენტი

საყვარლის საფლავს ახლაც დავეძებთ,  
ახლაც ცრემლებით ვნამავთ გარემოს,  
ახლაც ვკითხულობთ გულამოსკვნილი:  
„სადა ხარ, სად ხარ ჩემო სულიკო?!”

სულ ასე იყო... იყო და იყო,  
როცა ერთობა ჩვენი გათიშვეს,  
როცა ქვეყანა ხუთად დაიყო.

როცა მომესმის ღვთიური ჰანგი,  
გარს მეხვევიან წარსულთ ლანდები,  
სიმების უღერა თრთოლვით ამავსებს.  
იმქვეყნიური მომესმის ხმები...  
გადამეშლება თვალნინ ედემი  
და მესმის, როგორ მომძახის ექმ:  
„ნუ, დაეცემი...ნუ დანებდები!“  
შენ, საუკუნის დიდო სიმღერავ,  
უკვდავ ჰანგების დიდო სამყაროვ!  
შენა ხარ ჰიმნი ქართველი ხალხის,  
ურუოლა და სუნთქვა ძველის თუ ახლის!...  
და არა ვცდები, როცა მგონია,  
არ განელდება ალარასოდეს  
ეს სიტყვები და ეს ჰარმონია!

2014

## პათუმი-ჩემი მფეთქავი გული

ბათუმი-ჩემი მფეთქავი გული!..  
 ქალაქი-შავზღვის მწვანე სავანე!..  
 სხივაკრეფილი და მოხასხასე,  
 კამკამა ჭავლში მზე მონანავე...  
 მშვიდი ქუჩების სწორი ხაზები,  
 ტალღები ლურჯად ანაფერები,  
 წყნარი საღამო... ორგვლივ ყოველი  
 მოსათუთი და მოხაფერები...  
 თუნდაც ღრუბელი-ქუფრი და რუხი,  
 წვიმაც-ნამდვილი წყლის თეთრი ფარდა,  
 გინდ დინჯი, სევდით გარემოცული  
 მთვარე, „ღამეს რომ უხუნებს კალთას“,  
 გინდაც მძვინვარე, მშფოთვარე შტორმი,  
 გინდ ნათელი დღის წყნარი იერი –  
 ყველაფერს ახლავს თავისი ხიბლი  
 დამათრობელად გულისმიერი...  
 გადაგიშლია, ჩემო ქალაქო,  
 ყვავილნარების ჭრელი ფარჩები,  
 მე შენი მკერდის სუნთქვით გაზრდილი,  
 შენი ვიყავ და შენი დავრჩები!

2014

რაც ყოფილა და რაც არის ძნელი შესადარია –  
თავსხმა წვიმა, ქარაშოტი თუ მზანი დარია,  
თავის ელფერს ჯერ კვლავ ირჩენს ძველი ნაქალაქარი,  
ოღონდ მრჩება გულში რაღაც მძიმედ დანალექარი,  
შემოიჭრა მის ფარგლებში სულ სხვა-უცხო, უნდილი,  
როს ჩააცვეს მცირე ქალაქს დიდ ქალაქის მუნდირი.  
ვერ მივიღე მე ეს ხედი-ჩემთვის უცხო სახება,  
მე ბათუმზე როცა ვფიქრობ, სულ სხვა რამ მესახება:  
ძველი, ჩუქურთმებიანი ლავგარდნებით სახლები,  
რაც კი შემოგვრჩენია და ხელი არ აქვს ნახლები,  
ძველი სადარბაზოები, დარაბები, კარები,  
პანანინა ეზოები იზაბელას ჯარებით,  
ზღვის ნაპირას გადაშლილი დაბურული ბულვარი,  
მოკირნყლული ქვაფენილი თუ ასფალტი მხურვალი...  
და ქუჩები განოლილი-ოთხმხრივ სწორი ხაზები,  
გაზონების მწვანე ზოლი ყვავილებით ნაზებით.  
არად ვაგდებ-სილამაზე ვის როგორ ეფასება, –  
მე ის მომწონს-ძველებური, მე ის მელამაზება !

2014

## დღეინი გარდასული

(ბავშვობის მეგობარს – იშო ვადაჭკორიას)



მე იმ ცხოვრების გზას მივყვები თითქოს კვალდაკვალ,  
თვალწინინ მიპქრიან სურათები ჩვენი ნარსულის...  
მასსოვს პირველი გამოჩენა იმ ჩვენ დიდ ნრეში  
მშენიერი და მიმზიდველი კოხტა ასულის.

ჩვენ ადრიდანვე არ გვქონია ხვედრი მსუბუქი –  
მაშინდელ დროის ყველასათვის მკაცრი მდევარი –  
დასეტყვილი და დათრგუნული მძიმე ცხოვრება,  
მაგრამ ბავშვურად უანგარო, დაუდევარი.

მე თვალწინინ მიდგას ქალთა სკოლა, შენი კლასელნი,  
შავ-თეთრ ფორმიან გოგონების მთელი ამალა,  
გარს გეხვეოდნენ-იყავ ნრფელი, მოსიყვარულე,  
გამრჯე, ბეჯითი...არ შეგეძლო გრძნობის დამალვა.

მუდამ იყავი მეგობრობის მცველი, შემკვრილი,  
გამორჩეული ლექსების თქმის დიდი უნარით,  
ნკრიალა ხმითა და ხალისით სავსე გოგონა –  
გარდაქმითა და გარდასახვით გაუგონარით.

დღეს შენ თვითონ ხარ აღმზრდელი ბევრის,  
ჩემთვის ვით და ხარ უსაყვარლესი,  
როგორც რაინდი მუხლს ვიდრე შენ ნინ  
ამ ჩემი ნრფელი გულით და ლექსით!

2015

როგორ უცებ გამეზარდე, დრო მოკვეცე თითქოს,  
შენ ხომ მუდამ ჩვენთან იყავ, მე სულ შენზე ვფიქრობ.

ასე მალე, ასე სწრაფად ვით გავიდა ეს დრო?  
მინდა თითქოს, მაგრამ, აბა, როგორ დავიყვედრო?

მომესნარი!.. შენი გაზრდა მე ოცნებად მქონდა,  
მაპატიე, თუ სათქმელი ასე დამიყოვნდა.

შენი დალალ-დალალები და ტიტინა ენა,  
შენი ხეევნა და ალერსი, შენი ალმაფრენა...

სიხარულს რომ მანიჭებდი, ჩამეკვროდი გულში,  
თითქოს, აი, ახლა იყო, თითქოს იყო გუშინ.

გიცქერი და ვერ ვიჯრებ, თუმცა კარგად ვიცით,  
დრო გვაცდუნებს და გაპარვა შეუმჩნევლად იცის.

ძველებური სითბო შეგრჩა და ხალისის ნიჭი,  
გაზრდილხარ და აშოლტილხარ, როგორც კოხტა ფიჭვი.

მომავალშიც მინდა იყო მარად სვებედნიერი,  
როგორც ახლა-სრულყოფილი, სუფთა, მხნე და ძლიერი.

იმედად მაქვს-შთამომავლად მყავს ძვირფასი ასული,  
ამიტომაც არ მიგლოვო, მე იმ ქვეყნად წასული.

ისიც კმარა, თუ ცრემლები ცოტა დაგეღვაროსა –  
„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფა საბალნაროსა“!

მესიზმრა: დედა სუფრას გვიშლიდა,  
 მამა იჯდა საწერ მაგიდასთან,  
 მე კი რაღაცას უაზროდ ვდაობდი  
 ჩემს ჯიუტ უმცროს დასთან...

მესიზმრა: სკოლის მერხზე ვიჯექი,  
 მელნით დათხუპნული მქონდა თითი,  
 ვწერ, ვკითხულობ და ოფლად ვიღვრები,  
 ვაწგარიშობ და ვითვლი...

მესიზრმა: უცებ სარკმელი განათდა,  
 მე კი მეშინია მზის თეთრი სხივის,  
 ვიღაცა მეძახის და თანაც როკავას,  
 მელრიჯება და ჰეივის.  
 არეულია წარსულში ახალი,  
 არ ვიცი, სად ვარ, ან ვინ ვარ, რა ვარ...  
 ვიღაცა მომდევს და მე ვერ გავრბივარ,  
 მთლად მონუსტული ვყავარ...

მესიზმრა: უკვე ნასული მეგობარი, –  
 ქვეყანა დამერლვა ათასგვარ ფერებად, –  
 იგი მეხვევა, მკოცნის, მკერდზე მიხუტებს,  
 დუმს და თან მეფერება...

რა არის, რასაც რომ ვხედავთ ლამ-ლამობით?   
არა აქვს ყოველივეს რაიმე ახსნა?..

როცა თვალს ვახელ, ეს ხომ შეებაა დიდი,  
მძიმე კირთების ახსნა.

სიზმარი-ფიქრი მძინარე კაცის!..

სან კეთილია და ხანაც ავი.

ოღონდ უნესრიგო და მიმოფანტული,  
დაძლილ-აუკინძავი.

2014

\* \* \*

არ მინდა წავიდე ზამთარში –  
მიწა ცივია ძალიან.

არც შემოდგომა არ მანყობს,  
საქმე მაქვს, სადა მცალია?

არც გაზაფხულზე არა მსურს –  
სიცოცხლე იწყება ახლიდან.

არ მინდა, არ მინდა, არ მინდა  
მე წასვლა ჩემი სახლოდან.

ცხელი ზაფხული თუ იქნა –  
ეს დრო ხომ სულაც ჩემია!

ზაფხული იყოს, ზაფხული...  
მე ყველას ის მირჩევნია.

2015

ის, რომ იმქვეყნად არაფერია,  
 სრული სიჩუმე, არარაობა,  
 არც სივრცე, არც დრო, არც სიყვარული –  
 გამოამჟღავნო შენი რაობა.  
 შენი თანმხლები იქ არვინ არის,  
 შენი სიტყვების არც გამგებელი,  
 სინამდვილეში ეს ხომ შვებაა  
 „სიკედილთან ჩემი შემრიგებელი“.

2015

\* \* \*

ნუ გგონია, ის რაც არის,  
 მუდამ ასე იქნება,  
 ბევრი რამე შეიცვლება.  
 ბევრიც გარდაიქმნება...  
 ნუ გგონია, ყველაფერი  
 გაკეთდება თავისით  
 და ცხოვრება სულ ჩაიცლის  
 სიამით და ხალისით.

ნუ გგონია, ამ ცხოვრებას  
 ვინმე რამეს გამორჩება,  
 „ნუთისოფლის სტუმრები ვართ,  
 ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.“

2014

## თუკი ისურვებ

(მეუღლეს)

როს წავალ ნუღარ მიგლოვებ დიდხანს...  
 ძლიერ თუ მოგენატრე,  
 წარმოისახე ჩვენი წარსული –  
 როგორც ვიყავით ადრე.

მე შენთვის მუდამ ვიქწები ყველგან,  
 მომძებნი სადაც გინდა,  
 მეძებე მინდვრად, ლურჯ ყვავილებში,  
 ჩახედე წყაროს წმინდას.

მნახე დაცვენილ ფოთლების ჩქერში,  
 შემოდგომით რომ იცის,  
 მნახე გამომხმარ ტოტებს შორისაც  
 ბუხარში როცა იწვის.

თუ გინდ მიპოვე წვიმის წვეთებში,  
 თოვლის ფიფქებშიც იქნებ,  
 ხელით შეეხე ჩემს უბის კალამს,  
 ჩემს ნივთებსა და წიგნებს...

ჩემს დარგულ ნერგში, ვაზის ტოტებში  
 მიხილე, მითხარ რაც გსურს,  
 რაც მოგაგონებს ბედნიერ დღეებს,  
 უკვე ჩავლილს და გასულს...

ამიტომ ნუღარ მიგლოვებ სულაც,  
 ჩვენ არ ვშორდებით ამით,  
 ვარსკვლავთ ერაფშიც შემამჩნევ კიდეც,  
 თუ დააკვირდი ლამით...

თუკი ისურვებ, მიპოვი ყველგან,  
 სრულად კი არა ვქრები,  
 შენთან ვიყავი, შენთან ვიქნები,  
 მე კვლავ შენს გვერდით ვრჩები.

2015

### თუ გამომხადავ...

ნუ შემომხედავ, ნუ შემომხედავ,  
 ბავშვური მზერით, თბილი თვალებით!..  
 ნუ გამახსენებ, რაც დავივიწყე  
 დიდი ტანჯვით და დიდი ნვალებით!..  
 ნუ მომაგონებ იმ სალამოებს,  
 ნუ გამაყოლებ დარდად,  
 ჩვენ არაფერი გვესმოდა მაშინ,  
 ჩვენი გულისტქმის გარდა.  
 ნუ გინდა, ისევ აფეთქდეს გრძნობა,  
 გონება იქცეს ბინდად,  
 სჯობს ის, რაც იყო, როგორც აქამდე,  
 შემოვინახოთ წმინდად.  
 და ნუ მიცქერი, გემუდარები,  
 ბავშვური მზერით, თბილი თვალებით,  
 ნუ მომაგონებ, რაც დავივიწყე  
 დიდი ტანჯვით და დიდი ნვალებით.

2013

თითები! თითები! თითები!

რამდენი ოცნება, რამდენი ფიქრები!..

რამდენი ზღაპარი, რამდენი მითები!

თითები, თითები, თითები!..

თითები გრილები, თითები რბილები,

თითები მოქნილი, თითები წვრილები,

ვით კონად შეკრული ლამაზი ტიტები,

თითები, თითები, თითები!

სინამდვილეში თუ გაფიქრებით,

ვიყავი მონა, ვარ და ვიქნები.

როს მაგონდება, ალად ვინთები –

თითები, თითები, თითები!

მახსოვს სურვილი-მძიმე კირთები –

მისგან მრავალგზის მონათითები,

მხურვალე მზერა გადაფირებით...

თითები, თითები, თითები!

ცელქობენ, თრთიან, უკრავენ თითები –

გულს ცეცხლად მონაკიდები,

თვით ლვთისგან განადიდები..

თითები, თითები, თითები!..

და ისევ –

თითები,

თითები!

რამდენი ოცნება, რამდენი ფიქრები!

რამდენი ზღაპარი, რამდენი მითები!

თითები, თითები, თითები!

## უძრავის დაწვევლი

რომ არ გიყვარს ტანვარვეიში,  
 ვერც ასრულებ ვერცერთ იღეთს.  
 არ ესწრები არასოდეს  
 ფიზკულტურის გაკვეთილებს,  
 არ თამაშობ ბურთს, ბაგმინტონს,  
 ხელს არ ახლებ ჰულა-ჰუპას,  
 არ ესწრები შეჯიბრებებს,  
 გუნდს არა სძენ არც ერთ ქულას,  
 კი გავს, მაგრამ არ იყენებ  
 გორგოლაჭებს და არც ველოს,  
 არ ცეკვავ და არც თამაშობ,  
 გინდა ტანი გაისქელო?  
 როგორ უნდა გაიზარდო  
 ჯანსაღი და ღონიერი?  
 არ გინდა, რომ გქონდეს კარგი  
 აღნაგობა და იერი?  
 თუ არა ხარ მოყვარული  
 მოძრაობის, რბენა-ხტომის,  
 თუ ველარ სძლევ სიზარმაცეს,  
 თავი არ გაქვს კოხტაობის,  
 დამიჯერე, გაიზრდები, —  
 ბევრი ვნახე შენისთანა, —  
 ბავშვობაში არ იზრუნა,  
 დიდობაში დაინანა.

ამას რას ჩადი, ბიჭუნავ?

ერთი რომ იყოს-ვგანდაბას!  
თითო კედელზე-ათ-ათი,  
დაამახინჯე კარები,  
შესასვლელი და ფასადი.

ახალშეღებილ ამ ჩვენს სახლს  
არც კი აცალე გაშრობა, —  
არ დაუფასე მუშა ხალხს  
არც ოფლის დვრია და არც შრომა.

ରାଫ ଗିନିଦା, ମାଗାଶ ରମ୍ପ କହାଇଲା? ଅମିତ ଗୁରୁର୍କ ଡାଗରିଙ୍କ ବାବେଳି? ପିରିଜୀତ-ବାଲ୍ବିଶ ଶେଖାଵରିଧେବୀ ଶେବିତେ ତାତୋଟ ଦା କେଣିତ.

გავა ცოტა დრო და მერე  
გადაიშლება წარნერა.  
ეს არის ამგვარი საქმის  
მკეთებლის ხედრი და წერა.  
თუ გინდა შენი სახელი  
გახდეს მთელ ქვეყნად საჩინო,  
კედელზე ნუკი დაჯღაბნი,  
„საქმემამ გამოგაჩინოს!“

2014

\* \* \*

მე ბათუმის მზე რომ მიყვარს,  
 წვიმაც მიყვარს იმისი.  
 ბათუმიერი შევიყვარე  
 ჩვენი დედა-თბილისი.

მისთვის გული გავხსენი და  
 ბევრი სიტყვა დავქარგე.  
 თბილისელი თუმც ვერ გავხდი,  
 ბათუმლობა დავკარგე.

2018

\* \* \*

რაა ნარსული, თუ ინგრევა დღეს ანმყო შენი?..  
 ყველაფერი ნადგურდება შენი დამაშვენი?

ახლაც გართმევენ მინას და მამულს!..  
 ახლაც თავისას ცდილობს მტერი უთქმელს და ფარულს.

გარეშე მტრისა კარგად ვიცი ზრახვა-მიზანი,  
 მაგრამ შინაურს რა მოვუხერხო, რომ ვერ ვიცანი?

სიცრუისა და სიყალბეთა რეკენ ზარები,  
 ვით შევაჩეროთ დაბოლმილი ვიგინდარები?

2017

## ოთხი იყო მსოფლიო

(ეპიზოდი)

„ურა“ მიარღვევს სივრცეს...  
 მიინევს ჯარის ლავა...  
 „იქ გამარჯვება გველის,  
 თუკი მწვერვალზე ავალთ!“

თოვლი, სისხლი და გვამი,  
 ამას ვინ გადარჩება!..  
 მაღლა მიიღებულის ჯარი,  
 ზოგიც გზა და გზა რჩება.

არავინ არჩევს, გვერდით  
 რამდენი მოწყდა კაცი,  
 რამდენს ჩაუქრა სხივი –  
 ამას დათვლიან ანი...

გაიპო მიწა ორად,  
 გადაიშალა თითქოს,  
 სიკვდილს და სიცოცხლეზე  
 ამ წუთს არავინ ფიქრობს.

ქვემეხთა ავი გრიალი  
 წივილი ცხელი ტყვიების...  
 აქა-იქ შემინებული  
 ხელანეული ტყვეები...

დაჭრილთა კვნესა-გოდება...  
 მშველელი არსით არი,  
 ცეცხლი ბობოქრობს ყოველგან,  
 ალი დგას შემზარავი...

არეულია ყოველი –  
 თოვლი, სისხლი და მინა,  
 ვინ უწყის, ამ ურაგანმა  
 რამდენი დაამინა.

აჸა, აიღეს მწვერვალი...  
 და შავი კვამლის შუქი  
 გადაიფანტა, განათდა  
 ცას შეემატა შუქი.

შეძახილები, ყიფინა!..  
 თუმცა ეს ცოტას გვპირდება!..  
 არავინ იცის, რამდენი  
 დედა დღეს აგვიტირდება!

ასეთი არის ომი –  
 ყველას რისხვა და ვნება –  
 ადამიანი მიღის,  
 ადამიანი კვდება!..

2015

### დღო მოდის

\* \* \*

როცა ერეკლემ ჩააგო ხმალი,  
 მაშინ დასრულდა დიდება ჩვენი.  
 დადგა ეპოქა სწრაფი და მაღი,  
 გამოგვიტანეს ჩვენ განაჩენი –  
 გავხდით შემყურე ჩვენი „მფარველის“,

ასე აიგო ჩვენ შორის ხიდი.  
 არ იყო შიში მას მერე ომის  
 რაკი თავს გვედგა ჩვენი „ძმა“ დიდი.

გამოხდა ხანი, ქორონიკონი  
 სხვაგვარად სჯის და სხვაგვარ განაგებს.  
 ქართული სიბრძნე, ქართული გონი  
 ვერ შეეგუა წყობას ანაგებს.  
 მართალი არის, დაჩლუნგდა ხმალი,  
 მაგრამ სიმღერით, შრომით, ქადილით,  
 განათლებით და ცხოვრების ძალით  
 ჩვენ დავიმკვიდრეთ ჩვენი ადგილი.

გარეშე მტრისა არ გვწვავდა ალი,  
 მაგრამ მტრად გვექვა დიდი „ძმობილი“.  
 სურს მიითვისოს მიწა და წყალი,  
 ჩვენი ცხოვრება გამოწრთობილი,  
 ნაგვართვას ენა, თავისუფლება,  
 თვითმყოფადობის მოსპოს ნასახი...  
 კაცობრიობის ჭირად ქცეული  
 ბოლოს გამოჩენდა ნამდვილი სახით.

დრო მოდის, ახდეს ჩვენი წადილი –  
 მზე გველირსება ამომავალი!  
 და დაინყება, ვიცი, იმ დღიდან  
 ჩვენი დროება და მომავალი.

2018

ჩემი ქვეყნის მთავ და მდელოვ,  
გორაკებო, ტყეო, ზღვაო!  
ერთმანეთს ვით დაგაშოროთ,  
როგორ უნდა გაგასხვაოთ?..  
საოცარი ხატებაა  
ყველა ერთად ალებული,  
შემოგხარი, შენთვისა მაქვს  
გულისკარი გაღებული.  
რაღაც ხიბლი შეუცნობი,  
მადლი გმოსავს ლურჯი ცისა,  
შვენება და სასოება  
იმქვეყნიურ სამოთხისა!

შენი სივრცე თვალუნვდენი,  
მიმზიდველი უცხო ძალით,  
შენი სიღრმე უწვდომელი,  
მდუმარებით იდუმალით  
დამიმშვიდებს სულს მშფოთვარეს,  
ნეტარებით მავსებს, მათრობს,  
სულერთია – მზე კაშკაშებს,  
თუ ფიფქები თეთრად მათოვს!..  
დალოცვილი ჩემი მხარევ,  
ეს ბუნება, სივრცე მთელი...  
არსად არის მსოფლიოში  
ჩემი ქვეყნის შესაფერი!

2018

სამშობლო ცხელი გულია –  
სისხლი მკერდს ამონახეთქი!..  
იმერეთი თუ გურია,  
ქართლი არის თუ კახეთი,  
სამეგრელო თუ აჭარა  
და მთიანეთი სრულიად,  
აფხაზეთი და სვანეთი,  
მუდამ ერთად რომ უვლიათ,  
რაჭა-ლეჩეუმი-ზღაპარი,  
ჯავახეთი თუ მესხეთი –  
ჩემი სისხლი და ხორცია  
ახლანდელით თუ მერეთი!..

2015

## საიდან იწყება სამშობლო

სამშობლო იწყება იქიდან,  
როცა ისნავლე „ია“...  
როცა შეიცან-შენს ენას  
„დედაენა“ რად ჰქვია,  
როცა გაიცან შენი წარსული,  
თუნდ ბევრი ლამე გეთა,  
როცა შეიგნე, მშობელი  
დედა რომ ერთადერთია,  
როცა გაიგე, რამდენი

სისხლი დალვრილა მისთვის,  
 ენას დარაჯად უდგანან,  
 კარგად იციან, რისთვის!.. –  
 „რა ენა წახდეს, ერთ დაეცეს“,  
 გაქრეს დიდება მისი...  
 უნდა იბრძოდე, თუნდაც გარშემო  
 ჯარიც კი გერტყას მტრისი...

ენა განძია ქართველის,  
 საუნჯე შეუდარები,  
 სამშობლოს თანაფარდია  
 და მისი შესაძარები...  
 „სამშობლო“, „ენა ქართული“,  
 „დედა“ დართული მათზე,  
 ერთადერთია, არასდროს  
 „არ გაიცვლების სხვაზე“.

2017

## ჩემი სოფლის ავგენობა

სევდით ვიგონებ იმ დროს მაღლიანს –  
 როცა ჰყვაოდა ჩვენი სოფელი!..  
 მთის კალთებს შორის მკერდგადაშლილი,  
 რაღაც უცხო და შეუცნობელი.  
 ყველაფერს აჩნდა მშრომელი კაცის  
 ჯაფა, გარჯა და მისი უნარი,  
 მეზობლიბა და ურთიერთობა,

სიკეთე – მუდამ გაუხუნარი.  
 ჩემი სკოლა და მეგობართ გუნდი,  
 სწავლა, თამაში, შრომა ოჯახში,  
 მშობლებს ყოველთვის ვებმარებოდით  
 მინდვრად იყო თუ ხეხილის ბაღში.  
 ვათაყვანებდი სკოლის მეგობრებს.  
 მომწონდა გოგო ჩემს გვერდით მჯდომი,  
 ვინ იფიქრებდა, დაგვაშორებდა,  
 გაუგონარად სასტიკი ომი.  
 მანამდე არვის არ უფიქრია,  
 ვინ ვინ იყო და რა ნარმოშობის,  
 საქართველოსი ვიყავით შვილნი,  
 გვჯერდა ხალხის, გვჯეროდა მშობლის.

ამგვარი ყოფით გადიოდა დრო,  
 ვიდრე ერთ დილით არ ატყდა გრგვინვა,  
 მანამ ვერ მივხვდი, თუ რა ხდებოდა,  
 ვიდრე ვიღაცის არ მესმა გმინვა.  
 დაგვაცალკევეს ერთად შეზრდილნი,  
 დაინვა სკოლა და ჩვენი მერხი.  
 და გატიალდა რაც კი გვებადა,  
 თითქოს ქვეყანას დაეცა მეხი.  
 მტვერს შეერია მთელი სოფელი,  
 თავის ნებაზე ჰყოფდნენ ჩვენს არეს,  
 მე აქ აღმოვჩნდი მავთულხლართს მიღმა,  
 ის კი სრულიად მეორე მხარეს.

როს მაგონდება ეს ყოველივე –  
 ვერაგობა და უგონო ელდა,  
 ხან ბოლმა მაღრჩობს, ხანაც სიფიცხე,  
 ხანაც უძირო, უთქმელი სევდა...  
 თუმც მჯერა: გონი მაინც იმარჯვებს –  
 დრო მოვა სულ სხვა, უფრო კეთილი,  
 და არ დავრჩებით ჩვენ სამუდამოდ  
 ერთმანეთისგან გამოკეტილი!

2018

## სოციალი ჩვენი საზუძველია

რამდენი ჯაფა, რამდენი შრომა,  
 მიწაზე დაღვრილი ოფლით...  
 ჩემი სამშობლო ჩემთვის ინყება  
 ჩემი პატარა სოფლით.  
 მე თვალწინ მიდგას ის სამოსახლო,  
 ჩემი ეზო და ოდა,  
 სადაც ბავშვები ვურიამულობდით,  
 სიმღერა გაისმოდა.  
 სულ თვალწინ მიდგას მე ეს ხატება:  
 საწოლთან დედა ყელმონალერი,  
 თითქოს ჩამესმის ახლაც მისი ხმა  
 მხურვალე გულით ნაზად ნამღერი.  
 ძილშიც კი ვგრძნობდი მე მის ტკბილ ალერს,

მესმოდა და-ძმის მსუბუქი სუნთქვა,  
 დილით ყველანი წამოვხტებოდით  
 და იწყებოდა ცხოვრება სულ სხვა,  
 სკოლის გაბმული ზარის ძახილი...  
 პატარა გორის სირბილით ავლა,  
 აქ იყო ჩვენი ლამაზი სკოლა,  
 გაკვეთილები, გარჯა და სწავლა.  
 მშობლები შრომას გვაჩვევდნენ მუდამ,  
 იდგა ოჯახში დიდი ხალისი.  
 და ჩვენი შრომით მოპოვებული,  
 იმედი გვქონდა კარგი ხვალისი.

გამოხდა დრო და გადასხვაფერდა  
 მთელ ქვეყანასთან ჩვენი სოფელიც,  
 სულ შეიცვალა ადრე რაც იყო,  
 ვერ დავრჩით მასთან განუყოფელი.  
 დაიძრა ხალხი, უკმაყოფილო  
 ვინაც კი იყო თავისი ბუდით.  
 დავტოვეთ ჩვენი სამოსახლო და  
 უკან არავინ აღარ დავბრუნდით.  
 ასე თუ იქნა, ჩვენი სოფელი  
 უბედურობას ვერ გადარჩება,  
 ამ ჩვენს ღვთიურ და ნაკურთხ მინაზე  
 არვინ ჩვენგანი აღარ დარჩება.  
 ეს კიდევ რაა? უარესია:  
 მამულს წაგართმევს მოშურნე ძველი,  
 დაბრუნდები და სახლში დაგხვდება  
 სულ სხვა ხალხი და სხვა მასპინძელი.

იგას ვნერ, რასაც გული მკარნახობს

სახლში ვზივარ – ბუხრის ცეცხლს შევცეკერი,  
ნინ მიდევს ქაღალდი, წათლილი ფანქარიც...  
არას ვაკეთებ, არსად მივდივარ –  
ხან წვიმა მაშინებს, მაკრთობს ხან ქარი.

ვწერ და ვწერ, რასაც გული მკარნახობს,  
ვწერ გავექეცი სევდიან მუზას...  
სად გაჩერდება ჩემი ხომალდი  
და სად ჩაუშვებს ის თავის ღუზას!

მსურს ახლებური ლექსი დავწერო –  
ახალი დროის, ახალი მოდის:  
ურითმო,  
ურიტმო,  
უგულო,  
უსულო...  
ვცდილობ და არ გამომდის!

2015

რატოგ ვნირ ლექსიპს...

- რატომ ვნერ ლექსებს...
- იქნებ როგორმე

ჩემ აძლილ გრძნობებს მივცე საშველი!..

ვნერ და ვკითხულობ...

ვნერ და ვკითხულობ...

მაგრამ მე მაინც, აბა, რას მშველის?...  
 ამიშლის ისევ ფიქრებს წარსულზე –  
 სევდით,  
 ოცნებით,  
 კვნესით,  
 წუხილით...  
 სამშობლოს ბედი და უბედობა  
 სისხლში ჩამივლის შეუიღ-ქუხილით.

მე ვერ ვწერ ლექსებს ხმაში ფოლადით!  
 თალხი ხავერდი სძლებს ისევ სიტყვას,  
 და სულ არ ვიცი, რას ვიტყვი ხვალე,  
 რა უნდა ვთქვა ან რა უნდა ითქვას...  
 მე მაინც ვწერ და ვიბრძვი მუზასთან,  
 ვცდილობ, სულს მივცე რაღაც საშველი.  
 ვწერ და ვკითხულობ...  
 ვწერ და ვკითხულობ...  
 თუმც აშლილ გრძნობებს მაინც ვერ ვშველი.

2015



ჩემო დაღლილო გულო,  
 ჩემო დაღლილო სმენავ,  
 ჩემო დაღლილო სულო,  
 ჩემო დაღლილო ენავ,  
 ჩემო დაღლილო სუნთქვავ,  
 ჩემო დაღლილო თვალო,  
 ჩემო დაღლილო მუხლო,  
 ჩემო წაშლილო კვალო,  
 ჩემო დაღლილო ხელო,  
 გადაქანცულო ვნებავ,  
 არვისთვის განამხელო,  
 ჩემო ფიქრო და ნებავ,  
 ჩემო დაღლილო მუზავ,  
 დაღლილო აღმაფრენავ,  
 კალამო, ფურცლებს აწყობდი  
 ერთ დროს სულ ფენა-ფენად,  
 ახლა მდუმარედ შემყურებ,  
 ვერ გაგისწორე თვალი,  
 ვფიქრობ, რომ ქვეყნის ნინაშე  
 ვერ მოვიხადეთ ვალი!

2016

ვერ ვიტან ხალხმრავლობას და ხმაურს,  
სულს მიშფოთებს, მანუხებს და მღალავს.

თუ მაინც გავხდი იძულებული –  
ამგვარი ყოფა მზარავს!

ქუჩაში თუ გადავეყარე მათხოვარს,  
როგორ დუმს და არ ამბობს არას,  
ეს სიჩუმე სულ არ მაძლევს შვებას,  
დუმილი უფრო მზარავს!

ლამის ზრიალის ხმის ჩასახშობად  
საგულდაგულოდ მივხურავ დარაბს.  
მძულს უგულობა, ჩხუბი და სისხლი –  
მე სისასტიკე მზარავს!

არ მომწონს, როცა კაცი მავანი  
თავის განზრახვას და ფიქრებს მალავს.  
აგინებს ყველას, ლანძღავს, ამცირებს –  
ასეთი კაცი მზარავს!

ვიღაც, რომელიც მალულად მიჭვრეტს,  
მომდევს, განზრახულს აშკარად ფარავს.  
ასეთი კაცი მუდამ მაშფოთებს,  
მისი ხსენებაც მზარავს!

მაეჭვებს, როცა თვალნათლივ ვხედავ,  
მოყვასი მოყვასს სიხარულს ჰპარავს.

ამგვარი ვინმეს არსებობაც კი

ნერვებს მიშლის და მზარავს!

მაგრამ რას ვიზამ, როცა არავინ,

ვიცი, არავინ, არავინ მფარავს.

ყველა სიავე და ბოროტება –

სულს მიწრიალებს, მზარავს!

როგორ მოვიქცე? ხალხს გავერიდო?  
 ტყე-ღრეში ხომ ვერ დავიდგამ კარავს?  
 ადამიანის გარეშე დავრჩი?  
 მე მარტობაც მზარავს!

2018

### დრო რომ მიღის

ქვეყანაშე რაც კი არის, –  
 ვიცი, ასე ხდება, –  
 ბევრი რამე დიდებული  
 გაუბრალოვდება.  
 დრო რომ მიდის, მას მიჰყება  
 ავია თუ კარგი.  
 რაც არ არის დასავინყი,  
 ჩვენგან დასაკარგი –  
 რა დროს ფეხი დაგვიცდა და  
 როდის ვმდგარვართ მყარად,  
 მოკეთეთა სასიკეთოდ,  
 თუ მტრის გასახარად.  
 რამდენ რამეს ვერ ჩავწვდი და  
 ცოდნაც მგონი არ მეყო, –  
 შემძლებოდა ხიაშაყით  
 თავი მაღლა ამელო...

მაგრამ ცხოვრება ასეა:  
 ჭუა და გამოცდილება  
 როცა გჭირდება – არა გაქვს,  
 როცა გაქვს – აღარ გჭირდება!

2015

## წარსულთან მისვლა

ასე სჩვევია წარსულთან მისვლას –  
 ძველი ფერების კვლავ აფერება,  
 მოგენატრება ისევ ნუგეში,  
 მოალერსება და მოფერება.

დაეძებ იმას, რაც განვლილია,  
 თუმცი იცი კარგად – ვერ დაბრუნდება,  
 მაგრამ ოცნება შეუზღუდველი,  
 ფიქრებში მაინც დაიბუდება...  
 გაგახსენდება რაც გინატრია,  
 და მომავალში ბედს ბევრს ჰპირდები.  
 მოგაგონდება შენი წარსული,  
 შეხვდები, ნახავ და ატირდები.

2013

## მუხა სიმპაზიას ითხოვს

ღამე ჩამოწვა წყნარი  
 სეტყვის და ქარის მერე,  
 დამშვიდდა მნვანე კორდი,  
 ტყე, მდინარე და ღელე-  
 ბუჩქნარში წვიმა ჩაღვრილი,  
 ვით წვეთი ბრწყინავს ძეძვის,  
 ხის ფესვი სრუტავს გუბეებს,  
 ჭარბ სინოტივეს ებრძვის.  
 ბალახი გალალებულა –  
 წვიმიანი დღე ათრობს.  
 დიდ ხეებს კი ის უხარით  
 თუკი მზე მინას ათბობს.

თუ აირია ამინდი,  
 თითქოს ამტყდარა ომი!  
 ტყის მეფე-მუხა მღელვარებს –  
 მუდამ სიმშვიდის მდომი.  
 მზის გამოხედვას წატრულობს,  
 მის შემოხედვას ელის,  
 ფოთლების აძრიალებას,  
 აყვავილებას ველის.

როცა ბუჩქნართა ჩქერი  
 მშვიდ ძილს ეძლევა თითქოს,  
 მუხა იბერტყავს ტოტებს,  
 მუხა სიმშვიდეს ითხოვს.

2018

## ჩაუცვლოვალი

ველარ იშლი შავ ფიქრებს,  
 გულში ჩაგესახლა: –  
 „რა ვიყავ, რად ვიქეცი,  
 ანდა სად ვარ ახლა?..“ –  
 ნინასწარ გსურს იცოდე?..  
 დამიჯერე, ინამე:  
 ვერ ჩანვდები უნვდომელს,  
 თავს ფუჭად ნუ ინამებ!  
 საცა არ გაგივლია,  
 მოვა დრო და იქ ივლი...  
 რამდენიც სიცოცხლეა,  
 იმდენია სიკვდილი.

2018

## ସାହିତ୍ୟ ଓ କବିତା

ଶୁଣେରିବାରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଭାନ୍ତରିବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁସିତ୍ୟବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଦ୍ଧାଲୀରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶିଶ୍ଵରିବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁନ୍ଧିଲୀରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁମତ୍ରାରିବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଵାର୍ଦ୍ଦିଶ୍ଵରିବାରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶିନାତଳିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଦ୍ଧିରୁଦ୍ଧିଲିରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁନ୍ଧିଲୀରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁନ୍ଧିପ୍ରଦିବିଦିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶାନ୍ତିଶ୍ଵରିବାରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁକ୍ରବାରିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁତ୍ରବାରିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଦ୍ଧିରାମିଲିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶିଗରିବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶିଶ୍ଵରିବାରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶିଲିମିରି ଓ ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁଶାନ୍ତିଶ୍ଵରିବାରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁତ୍ରବାରିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁମିନ୍ଦିରିବାରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି,  
 ଶୁରିତ୍ରବାରିରି, ଶୁଭିନ୍ଦିରି

ულოცავად, უნათლოდ,  
 უმიზნოდ და უმსგავსოდ,  
 უპირობოდ, უსულოდ,  
 უშფოთველად, უგულოდ,  
 სიმშვიდე რომ დაამყარო,  
 უნდა შექმნა სამყარო...

აიქნია ღმერთმა ხელი  
 და ყველაფრის გარეშე,  
 გააჩინა რაც არსებობს  
 დედამიწის არეში.

თურმე შენი შექმნილია,  
 ეს ქვეყანა, უფალო!  
 დროზე მიხვდი, ვერ ივარგებს  
 უკაცოდ და უქალოდ  
 გამოძერნე ორივენი,  
 ბევრი რამე ისნავლეს,  
 მაგრამ ბევრიც განიცადეს,  
 იტანჯეს და ინვალეს.

ასე გაჩნდა მთელი მოდგმა, —  
 ბიჭი იყო თუ გოგო.  
 ოლონდ გაუგებარია:  
 ეს საიდან და როვორ?

2018

(ჩემი პავშევობის მუგობრის იური გედევანიშვილის ხსოვნას)

ვიღაც თან მომდევს გვერდით, უტიფრად  
ნაბიჯებს მითვლის თითქოს,  
ისე მექცევა, ვითომც გზაკვალის  
ჩემი განმრიგე იყოს.  
სულ ახლოს ვხედავ მის ყვითელ სახეს,  
შემოჩერებულს შუშის თვალებით,  
თუკი გავყვები, გადამავიწყებს,  
რაც გამივლია მე აქ წვალებით.  
მარწმუნებს: რაღაც ერთი ხაზია  
სიკვდილ-სიცოცხლის გამყოფი წყებად,  
საკმარისია მხოლოდ ნაბიჯი  
და ყველაფერი დაგავიწყდება.  
ურულას მგვრის მისი სახება უცხო,  
მელანდებიან „ლურჯა ცხენები“.  
ჩემი სუდარა, ჩემი „სასახლე“,  
და ჩემი ორმო ჩასასვენები.  
ნარმოსახვებო, მომეშვით, გაქრით!..  
სულო, დამშვიდდე იქნებ!..  
ცაო, ნუ მიცქერ ასე პირქუშად,  
ნუ მისევ მძიმე ფიქრებს!

2017

მხოლოდ ოცნება, სურვილები, ლამაზი ფიქრები – არის რა? თუ არა შეთხზული ზღაპრები ძველი „ათას ერთი ლამისა“.

ცხოვრების სიმართლე სულ სხვაა –  
ახასიათებს ყველა ერას...  
რამე სიკეთე თუ არ დაომე,  
ისე დიადს ვერ შექმნი ვერას.

სიმართლე გულწრფელად შეიცან! ცხოვრება თუ შეგისწავლია, მიხედები, რაც ხდება ამ ქვეყნად - ეს ჩვენი წესი და ვალია.

2012

განსენია

ვუსმენ ნვიმას – სხაპასხუპით  
ვით მიყვება ჩემ ძელ ამბავს,  
რაც ყოფილა, რაც მომხდარა  
ერთმანეთში გადახლართავს...  
მომაგონებს ათას რამეს,  
რაც გადამხდა, რაც მინახავს,  
რაც არასდროს დამიმალავს,  
ან ღრმად გულში დამიმარხავს.  
გამახსენა ყველაფერი,  
ნება-ნება, ნელა-ნელა...

გულში ცეცხლი გამიჩინა,  
 დამფურფულა და დამანელა,  
 ჩამანვეთა სულში შხამი  
 მერე სევდა ჩამაღვენთა,  
 შემახვედრა წარსულ ფერებს,  
 გულსაკლავთ თუ აღმაფრენთა.

2018

## სინამუში

ოცნებებში დავუარტვატებ,  
 ამრევია დრო და უამი –  
 სად ვიყავი, სად მოვედი –  
 ვფიქრობ დღისით, ვფიქრობ ღამით.  
 წარსულსა და ანმყოს შორის  
 ნაშლილია თითქოს ზღვარი.  
 სულს მიხუთავს ძველის განცდა,  
 დღევანდელ დღის ნიაღვარი.  
 რატომ, რისთვის, სად და როდის?  
 კითხვებს ვეღარ გავუმეოლავდი...  
 ამაზე არ მიფიქრია,  
 როს დროს უმოწყალოდ ვკლავდი.  
 მეგონა, რომ მუდამ ასე  
 და ამგვარად ვიქნებოდი,  
 ნინ რაც მედო, ვერ განვსჭვრიტე,  
 რა ყოფა და რა დრო მოდის...  
 ბევრი რამ მაქვს დასანანი,  
 ბევრზე ახლა მწყდება გული:  
 რაც შემეძლო, ვერ შევძელი,

არ ამიხდა განშრახული.  
 გვიანია... უკვე გადის  
 ეს ცხოვრება ნება-ნება, –  
 ვერ შევძელი გონივრულად  
 ნარსულ დღეთა დაფასება.

2017



## საბაძისპარ

### ერთგულება

ოქეანეზე ფარფატ-შრიალით  
 ცას წეროები აპობენ გუნდად.  
 არ კიუინებენ ჩვეულებრივად,  
 არც ერკევევიან, რა სურთ, რა უნდათ.  
 ბრმად მიჰყვებიან ნინამძღოლს უხმოდ,  
 მოძმეს ვერც ამჩნევს აქ გვერდშიმყოფი...  
 ერთია ფიქრი: დაღლილთ ელირსოთ  
 ოცნების ქვეყნის სითბო სამყოფი.  
 ვერას ხედავენ სხვას ველარაფერს,  
 მოძმეზე არვის არ აქვს წუხილი,  
 აძრნოლებთ მხოლოდ ტალღების შიში,  
 მათი ბორგვა და ავი ქუხილი.  
 ბევრი ჩაინთქა უკვე წყლის ჩქერში,  
 და სამუდამოდ გაქრა ვნებული.  
 არ გაულია ხმა მას საშველად,  
 თავის ბედ-ილბალს შერიგებული.

ასეა ხვედრი გადამფრენელთა,  
 მათი ადათი და მათი წესი;  
 თუ გსურს ელირსო უმჯობეს სივრცეს,  
 უნდა ეძიო გზა უკეთესი.

უცებ ცის ტატინობს მონყდა ერთ-ერთი,  
 ძლიერი რხევით გასწია ქვევით.  
 მიჰყვა ჩავარდნილს ოკეანეში  
 უანგარიშოდ, გაბედულ ქცევით...  
 დაეშვა წყალზე, გადააფარა  
 მეგობარს თვისი ფრთები გაშლილი  
 და სამუდამოდ ჩაინთქნენ ერთად,  
 გადევლოთ ტალღა ფაფარაშლილი.

2018

## მუდამ ასე მიგონა

შენთან ვიყავ, შენი ვარ და  
 მუდამ ასე მეგონა:  
 მე რაინდი ვიყავ შენი,  
 შენ კი – ჩემი გოგონა.  
 თვალს არასდროს მაცილებდი,  
 ახლა რად ამარიდე?  
 ჩვენ ხომ არაფერი არ გვაქვს  
 საეჭვო და სარიდე?  
 ვხედავ: თითქოს შეიცვალე, –  
 ნულარ შემედავები! –  
 ნუ დავარღვევთ, რაც შევქმენით  
 ამდენი ხნის წვალებით!

გაუფრთხილდი, ჩემს სიყვარულს  
 არ აეხსნას ხუნდები!  
 თორემ თუკი გადვიკარგე,  
 ვეღარ დაგიბრუნდები.

2017

## სასიცვარულო მოთხმა

ამას ვით ვიფიქრებდი,  
 ამას ვით ავიტანდი –  
 შენ გარდაცვლილს გნახავდი,  
 ვარდსაც ვერ მოგიტანდი,  
 გულში ვერ ჩაგიკრავდი,  
 და ვერასდროს გეტყოდი  
 ჩუმად, როგორ მიყვარდი,  
 როგორ მენატრებოდი.

დაცლილია ფიალა –  
 წუთისოფლის საწყაო,  
 სამუდამოდ დამშრალა  
 ჩვენი ცრემლი და წყარო.  
 ჩემი ლტოლვა შენდამი,  
 აქამდე დაფარული,  
 დარჩა გაუგებარი,  
 უთქმელი და მალული.  
 ისევ დარჩი შენ ჩემთვის  
 საოცნებო ასული.  
 ასეთია ამ გრძნობის  
 ბოლო და დასასრული.

2018

ზოგი კაცუნა ასეა:  
 ოჯახს დაგიდევს არადა,  
 შინ გული რომ არ უდგება,  
 დაძრნის სხვის კარისკარადა...  
 არც ცოლი უნდა, არც შვილი,  
 ბალლებს ეპყრობა ავადა,  
 არად მიიჩნევს ყველაფერს,  
 ოღონდ გალალდეს თავადა.  
 ზოგი ორ-სამ ცოლს იცვლის და  
 კიდეც ამაყობს ამითა,  
 არც ფიცი სწამს, ერთგულებაც  
 არ აგონდება წამითა,  
 არც შვილის ცრემლი არ აკრობს,  
 მამის ნატრული ბალისა,  
 არ ახსოვს ძველი სიკეთე –  
 რაც ბედმა ადრე აღირსა.  
 არ ენალელება, არცა სწუხს,  
 თუნდაც ოჯახი დაშალოს,  
 „თურაშაულის პატრონი  
 ტყეში დაეძებს მაჟალოს!“

2017

„ინდი-მინდი... ინდი მინდი!“  
 ნუთუ, კარგო, ისევ გინდი?  
 მუხლს კანკალი შესდგომია,  
 თვალსაც მოპეფენია ბინდი...  
 თუმც გულს მაინც ჯერ არ ვიტეხ  
 და ვლილინებ – „ინდი-მინდი!..“  
 არ დავცხრები, ვიდრე ვსუნთქავ,  
 მე სიკცილის არ მაქვს რიდი!  
 სანამ მაჯა გაჩერდება,  
 სანამ ჩემდა სანთლად მინთი,  
 სანამ გული შეწყვეტს ძერას,  
 და დამფარავს შავი ბინდი...  
 მე არ შევწყვეტ ამ სიმღერას,  
 ვიდრე მთლად არ გაგიფრინდი!  
 „ინდი-მინდი!..  
 ინდი მინდი!“  
 ნუთუ ახლაც ისევ გინდი?  
 „ინდი მინდი!..  
 ინდი მინდი!“  
 ჩემო კარგო,  
 რაღად გინდი?

2017

## შეუცნობელი სიყვარული

გამახსენდა... გამახსენდა,  
 თუ რაც იყო მაშინ:  
 მე – ქოჩორა ცელქი ბიჭი,  
 შენ – ჯერ კიდევ ბავშვი.

მერე როცა გავიზარდეთ,  
 მე კვლავ ბავშვად გთვლიდი.  
 ცოტა გვიან შევამჩნიე,  
 გამხდარიყავ დიდი.

გამახსენდა: სადაც ვიყავ,  
 იქ ჩინდებოდი, მზვერავდი,  
 ეშმაკურად კოპნიობდი  
 კაბით ნაირ ფერადით...

ვხედავ, აღარ არის ის დრო,  
 როგორც ძველად – მაშინ:  
 მე – ქოჩორა ცელქი ბიჭი,  
 შენ – ჯერ კიდევ ბავშვი.

ახლა სულ სხვა რამ მან ვალებს,  
 როცა ძლივ-ძლივ გიცანი,  
 თურმე როგორ გყვარებივარ,  
 მე კი ვერ შევიცანი.

როცა შენზე ვფიქრობ,  
მე იმითი ვიწყებ:  
როგორ დაგივინყე,  
როგორ დამივინყე!

მაშინ თითქოს გვქონდა  
ერთი გზა და კვალი;  
დაგვავინყდა პირობა,  
დავივინყეთ ვალი...

ვერ მივმხდარვარ ახლაც,  
ასე როგორ მოხდა:  
მშეენიერი ბიჭი,  
გოგო უფრო კოტა...

დავარღვიეთ უხმოდ  
დათქმა, სიტყვა, ფიცი...  
რატომ მოხდა ასე?  
მომკალი, არ ვიცი!

2018

## რისტვისა და რატომ

ჩვენს ეზოში იზრდებოდნენ  
 დათუნა და ნატო,  
 მუდამ ერთად თამაშობდნენ,  
 არ იცოდნენ რატომ.

გადიოდა დრო და ხანი,  
 ერთად იყვნენ მუდამ...  
 ვერ ხვდებოდნენ – რისტვის, რატომ  
 ერთად ყოფნა სურდათ.

სკოლაშიც ერთ მერხზე სხედან  
 დათუნა და ნატო,  
 არ იციან, ვერ გეტყვიან.  
 რისტვისა და რატომ.

ამაზე არ უფიქრია  
 არც დათოს, არც ნატოს,  
 რისტვისა სურთ მუდამ ერთად  
 ყოფნა მარტოდმარტო.

არაუშავს, გავა დრო და  
 დათუნა და ნატო,  
 გაარკვევენ, ის რაც ხდება,  
 რისტვისა და რატომ.

2015

სასიყვარულო სახელი  
(ჩემ შვილიშვილ ალექსანდრას)



გიცქერ და ასე მკონია,  
ვით მართვემ, ფრთები გაშალე.  
თითქოს ანმყოსთან წარსულის  
განსხვავებაც კი წაშალე.  
ერთ დროს პატარა გოგონა, –  
დღეს ვარდის კოკრად იქეცი, –  
ისეთ სისწრაფით იზარდე,  
თითქოს წლებს გამოექეცი.  
მუდამ მხიბლავდა მე შენი  
ბავშვური ჭკუა-გონება,  
ახლაც მაღელვებს იმ ხანის  
სსენება და მოგონება;  
შენი ნიქი და უნარი,  
ჩაფიქრებული თვალები...  
მაშინ რაც იყო, დასრულდა,  
სულ სხვა გაქვს დასავალები.  
გრძელი გზა გიდევს ცხოვრების,  
ბევრის იქნები მნახველი;  
მინდა ყველასთვის გქონოდეს  
სასიყვარულო სახელი.  
სხვის იმედზე ნუ იქნები,  
მხოლოდ შენივე თავისა,  
შეგეძლოს ნათლად გარჩევა  
საქმის კარგის თუ ავისა.  
როს წავალ მე ამ ქვეყნიდან, –  
მოვა ამგვარი წამიცა, –  
შენი იმედი მექნება, –  
მე გულს ვიმშვიდებ ამითა.

2017

## პოლიტიკური თავისუფლების

(თავისუფლების მიზანის და მიზანის განვითარების)

ბოროტების და სიავის თესვით,  
მოწამლულ სიტყვით, მოშეხამულ ენით,  
ბოლმით აესილნო, ღმუილით, ღრენით,  
სიცრუით, ლანძლვით, მოყვასის წყენით  
გსურთ გაიკაფოთ გზა მომავალში.  
სხვა თუნდ გასვაროთ ტალახში ლაფით,  
ოღონდ იხვეჭოთ სახელი ამით.

თავს დაგვჩხავიხართ როგორც ყორნები,  
და რაც კი არის მოსაჭორები:  
„შიმშილი, ნგრევა, ერის ნაწყმედა...  
ქვეყანა ხრამში გადიჩეხება...“  
შიშის ზარსა სცემთ ხალხს ამ გოდებით,  
თანაც „ამტკიცებთ“ თავგამოდებით, –  
„დალუპულია საქმე ყოველი,  
წინამძღოლად თუ ჩვენ არ მოვედით!“

ბევრჯერ გვინახავს ჩვენ, განა ერთი,  
შავი დღეები უფრო ავები,  
მაგრამ მხნეობა არ დაგვიკარგავს,  
მუდამ გვეჭირა მაღლა თავები...  
მრომით, სიმღერით, თავგამოდებით,  
შინაგან რწმენით და მოწოდებით,  
არ გვიგლოვია, არ გვიმოთქმია,

არ გავტეხილვართ, როცა ქირია,  
 როცა ამდენი მოღალატეა,  
 როცა ამდენი გასაჭირია.  
 დღეს მთელ მსოფლიოს ესმის სიტყვები,  
 რაც ჩვენს წინაპარს დაუთესია:  
 „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში,  
 მაგრამ არ დამიკუნესია!“

2012

## დარიგებების ძებნაში

(იუმორესკა)

ბევრი, ბევრი ვეძებე,  
 გავაწვალე „მაუსი“,  
 როგორც იქნა, ვიპოვე  
 ბრძენი ქეი-ქაუსი.  
 კომპიუტერი, ნიგნები,  
 ინტერნეტი, „გუგლი...“  
 მისი შეგონებებით  
 დამეღარა შებლი:  
 – დარიგება შეიღება!..  
 – დარიგება რძლება!..  
 მთელი მისი ცხოვრება  
 ხელისგულზე დევს...  
 – მოვლა შენი ქონების;  
 – სტუმართმოყვარეობა;  
 – რა დროს უნდა იძრომო;  
 – რა დროს უნდა ღრეობა...

- რომ საღილობ, გახსოვდეს,  
უნდა იყო მდუმარი;
  - როგორ უნდა მიიღო  
კარს მომდგარი სტუმარი;
  - რა დროს უნდა იფხიზლო;
  - რა დროს უნდა იძინო;
  - ვისთან გმართებს მოთმენა,  
ვისგან უნდა იწყინო...
  - როგორ უნდა ილოცო  
დილაა თუ საღამო,  
ცხოვრება რომ შეგექმნეს  
კეთილი და საამო...
- ლვინო როგორ დავლიოთ?... –  
დუმს ამაზე ქაუსი.  
ხელი ჩავიქწიე და,  
ავდექი და მოვუსვი.

2015

## სპონსორი

ხალხი მუდამ სარგებლობდა  
შემწეობით სპონსორის.  
ასე იყო ძველ ხანიდან –  
ნაბუქოდონოსირის.  
ახლაც სპონსორს დავეძებთ და  
სხვას შევყურებთ ხელებში.  
თუკი ვინმე რამეს მოგვცემს,  
სიხარულით ხელებს ვშლით.

სხვისი ლუკმა მოგდებული  
 მიგვაჩინია სიკეთედ,  
 „ძონძებში“ სხვის სამოსს ვეძებთ,  
 ჩვენად გადავიკეთებთ.

დაგვავინყდა გემო ჩვენი  
 სურსათის და ხილისა,  
 გვეშინია გათენება  
 ხვალინდელი დილისა.

გამუდმებულ ძებნაში ვართ  
 ხან რისა და ხან რისა,  
 დღეს აღარ გვაქვს არაფერი,  
 იმედი გვაქვს ხვალისა.

მორჩით, ხალხნო, ამოძრავდით,  
 ხელთ იპყარით სადავე!  
 სუფთა წყალი არ არსებობს,  
 თუ არ დაწმდა სათავე.

2012



ავტორისაგან

## ჩვენი საუფლო

ჩვენო დიდო საუფლოვ!	4
რისთვის	5
საქართველო მოიარე	6
არც ევროპელი ვარ, არც აზიელი	7
შენი ენით	8
2008 წლის აგვისტო	9
აფხაზეთო	10
ნატურა	11
ქართული რაფსოდია	12

## დრო

დრო	13
მტვერი	14
*** (ყველაფერი იძალება, ყველაფერი კვდება)	15
*** (დრომ თუ ვინმე აგვიჩემა)	15
დრო მოდის	16
ძველს თუ არა სცემ ჰატივს	16
თამაში	17

## მონატრება და მოგონება

*** (აქ გაიარა ჩემმა ბავშვობამ)	18
ძველი სახლის ლანდები	19
რამ მომანატრა	20
ნეტავ ისევ	20

*** (როდის შეიმოსებით)	21
ჩემის მეგობრებს	22
*** (როგორ მინდა შენი ნახვა)	22
მამაჩემი	22
უკანასკნელ სარეცელზე	23
დედის ხელი	24
გახსენება ბათუმის ქუჩებში ხეტიალისას	25
ქობულეთის დღეების გახსენება	27
იმ დღიდი სახლის მახსოვეს ახული	28
მონატრება	30
აძლილი ფიქრები	31
 ხვედრი	
იყო და არა იყო რა	33
*** (ცხოვრებაში რაც კი მიდის)	35
ნასვლა თუ მიწერია	36
მოუსვენრობა	37
*** დამღალა ცხოვრების პროზამ	38
კოშმარული ხილვები	39
მე ვინ მერჩის	41
ავადმყოფური ფანტაზია	42
სევდა გადამქანცველი	42
არა უძავს რა	44
დასრულდება ზღაპარი	45
ტყის იღილია	46
სადაც ერთი	47

მე აღარა ეწერ, ძვირობასო, ლექსებს.....	49
მითხარ რამე .....	50
რომ არ იყოს .....	50
მგონი უმჯობესია.....	51
უქმიად მოლაპარაკე .....	51
თუ კაცი ხარ .....	52
თვალი მაინც .....	53
ისევ ის ვარ, რაც ვიყავი .....	54
ნიგნის მტერია ორივ .....	54
ცელქი მთვარე (კოსმიური ზღაპარი).....	55
რად დამეჩემა.....	58
<b>ფიქრები</b>	
რა მინდა .....	59
ვიღაც იცინის, ვიღაცა ტირის .....	60
*** (არც არაფერს ველი იქნეთ).....	62
„ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ნაკითხვისას .....	62
*** (ბრძენის ნათქვამი იწამე).....	63
*** (რაც მინდოდა ის რომ არ ვთქვი) .....	63
*** (გულს ნუ გაიტეხ, თუკი) .....	63
*** (ზოგი იარაღით ხელში არჩევს სიკვდილს...) .....	64
*** (და ეს ქვეყანა ჩვენი რაც კია .....	64
ჩემი ეპიტაფია .....	64
<b>საგულისკარო</b>	
არასოდეს მინატრია უკვდავება .....	65
სანამ ერთად ვიქნებით.....	66

იქნებ ისევ .....	
მოგონებამ ყველაფერი დაბინდა .....	67
სულ მახსოვს .....	68
გვიანი გაზაფხული .....	68
ციურ ხატების ძველი იერი .....	70
როცა მოვა ზაფხული .....	71
გაუმხელელი ფიქრები .....	72
გაიყო გზა .....	73
*** (როგორ უცებ დამეკარგე, თვალიც კი ვერ მოგკარი) .....	74
*** (მაგ გულმა, კარგო) .....	74
გადაიტანა გულმა ობლობა .....	75
ანტიპოდია .....	76
ევლავ რატომლა მომევლინე .....	76
გიური ხეტიალი .....	77
*** (არ ვიცი, შენში უფრო მეტია) .....	78
მხოლოდ ერთახელ .....	79
<b>მოზარდებს და პატარებს</b>	
ბავშვის ღიმილი .....	80
რას მიყურებს მე ეს ბიჭი .....	81
ზიზის საწესარი .....	82
მაცალე .....	83
ჩემი ფიცი .....	84
მოსწავლე ვარ .....	85
ნეიმა მოდის შხაპუნა .....	86
ბარბის გასაჭირი .....	86



თავეგასული ბიჭი	88
გაუგონარი ბიჭი	88
ტრაბახა ბიჭუნა	89
დარიგებანი	90
ეძმაყი მამალი	91
ჩვენი ძაღლი ბათურა	91
ირმის ჩივილი	92
„გუშინ და ხეალე“	93
<b>დამატება</b>	
„სულიკოს“ პანგები	94
ბათუმი–ჩემი მფეთქავი გული	95
მე ის მელამაზება	96
დღენი გარდასულნი	97
დრო გასულა	98
მესიზმრა	99
*** (არ მინდა წავიდე ზამთარში)	100
*** (ის, რომ იმქვეყნად არაფერია)	101
*** (წუ გვონია)	101
თუკი ისურვებ	102
წუ შემომხედავ	103
თითები	104
<b>მოზარდებს და პატარებს</b>	
უძრაობას დაჩვეული	105
კედელზე მჯდაბნელი	106

<b>ჩვენი საუფლო</b>	
*** (მე პათუმის მზე რომ მიყვარს) .....	106
*** (რაა წარსული, თუ ინგრევა დღეს ანტყო შენი) .....	107
ომი იყო მსოფლიო (ეპიზოდი) .....	108
დრო მოდის .....	109
დალოცვილო ჩემო მხარევ .....	111
ჩემი სამშობლო .....	112
საიდან იწყება სამშობლო .....	112
ჩემი სოფლის აებედობა .....	113
სოფელი ჩვენი საფუძველია .....	115
<b>ხელი</b>	
იმას ვწერ, რასაც გული მკარნახობს.....	117
რატომ ვწერ ლექსებს.....	117
ჩემი დალლილო გულო .....	119
მზარავს.....	120
დრო რომ მიდის .....	121
წარსულთან მისვლა .....	122
მუხა სიმშეიდეს ითხოვს .....	122
ჩაუწვდომელი .....	123
ფიქრები... ფიქრები...	
საიდან და როგორ .....	124
მძიმე ფიქრები .....	126
ოცნება და სინამვილე .....	127
გახსნებეა .....	127

სინაზული	128
<b>საგულისკარო</b>	
ერთგულება	129
მუდამ ასე მეგონა	130
სასიცოცხლის მინისტრის მიერ მიღებული სასიცოცხლის მიზანობის შესრულების მოთხემა	131
ზოგი ეაცუნა ასეა	132
„ინდი-მინდი“ (სალალობოდ)	133
შეუცხობელი სიყვარული	134
როცა შენზე ვფიქრობ	135
<b>საყმანებილო</b>	
რისთვისა და რატომ	136
სასიცოცხლის სახელი (ჩემ შვილიშვილ ალექსანდრას)	137
<b>საკონნარო</b>	
ბოლმის თაგულებს	138
დარიგებების ძებნაში (იუმორესეა)	139
სპონსორი	140



國立圖書館  
國家圖書館

ISBN: 978-9941-9598-8-2

A standard linear barcode representing the ISBN 978-9941-9598-8-2.

9 789941 959882